ერაყის დიპლომატია, ჭერჭეროობით, წარმატებას აღწევს A3

პარლამენტს „თბილგაზის" გაყიდვის არ სჯერა A3

ყალბი ფული თურქეთიდან A3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 3 სექტემბერი, 2002 წელი. №93

ფასი 50 თეთრი

ამერიკელი სამხედროები ხელისუფლებას პრესასთან ურთიერთობის გამოცდილებას უზიარებენ

კობა ლიკლიკაძე

"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

პანკისის ხეობაში მიმდინარე ანტიტერორისტული სპეცოპერაციის დაწყებისთანავე საქართველოში სარეკორდო რაოდენობის უცხოელმა ჟურნალისტმა მოიყარა თავი. მათთან ურთიერთობის დამყარება კი ევალებათ ძალოვანი უწყებების პრეს-ცენტრებს, რომლებიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ფლობენ არც სათანადო გამოცდილებას, არც საკანონმდებლო და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რათა ამ რთული სახელმწიფოებრივი ამოცანის შესრულება შეძლონ. ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ უსაფრთხოების მოტივით, პანკისის ხეობა, მეოთხე დღეა, დაიხურა ჟურნალისტებისთვის. ასეთ შემთხვევაში, უფრო დასაშვებია, რომ კვლავ წარმოიქმნას საინფორმაციო ვაკუუმი, რაც თავის მხრივ უამრავი დეზინფორმაციის აღმოცენებას უწყობს ხელს.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ საინფორმაციო უზრუნველყოფის თანამედროვე მოთხოვნილებათა გაცნობას ისახავს მიზნად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სამართლის შემსწავლელი, თავდაცვის ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ ორგანიზებული სემინარი,

გაგრძელება A2 გვერდზე

„სამხედროები ვალდებულნი არიან, დაეხმარონ ჟურნალისტებს!" იური ლოგოდინის ფოტო

მოვლადი უდუგოვი: „რუსეთი საქართველოში ტერორისტულ აქციებს გეგმავს"

ზაზა წულაძე

ერთწლიანი პაუზის შემდეგ დასავლური მედიის ფურცლებზე ჩეჩნეთის თემის დაბრუნებას რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში შოკის ეფექტი აქვს. პარალელურად, მოსკოვი აშკარად გაღიზიანებულია პანკისის ხეობაში მიმდინარე, წარმატებული ქართული ანტიკრიმინალური ოპერაციით. რუსეთს ხელიდან ეცლება კოზირი, რომლის მეშვეობითაც, ბოლო დრომდე, ჩეჩნეთში წარუმატებლობებს საქართველოს აბრალებდა. პირველად ბოლო ერთი წლის მანძილზე, როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო ასპარეზზე, ვლადიმირ პუტინის ხელისუფლება, შეიძლება, სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს. რუსეთის პრეზიდენტს, ერთი მხრივ, საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მოუწევს ხელახლა ახსნა, რისთვის არის საჭირო ათასობით მშვიდობიანი ჩეჩენის ფიზიკური განადგურება, მეორე მხრივ კი, უნდა დააკმაყოფილოს რუსეთის საზოგადოების ინტერესი - კვლავ რატომ იღუპებიან რუსი ჯარისკაცები ჩეჩნეთის

გაგრძელება A2 გვერდზე

მოკლული ქართველების ცხედრები ქვიშაში ჩამარხეს

ხათუნა ჭანგირაშვილი

ორი დღის წინ გალის რაიონში, ხუმუშკური-ბარღების საზღვარზე მომხდარმა ქართულ-აფხაზურმა შეტაკებამ, რომელსაც სამი ქართველი პარტიზანის სიცოცხლე შეეწირა, დიდი არეულობის წინაპირობა შექმნა. შეტაკების თვითმხილველთა გადმოცემით, ალყაში მოქცეულ ქართველებს ცეცხლი თავდაპირველად ჩასაფრებულმა რუსმა სამშვიდობოებმა გაუხსნეს. რუს სამხედროებსა და ქართველ პარტიზანებს შორის გამართულ ბრძოლას ნახევარ საათში, დაახლოებით, სამოცი აფხაზი ბოევიკი შეუერთდა. რუსი სამშვიდობოების მიერ დაწყებული თავდასხმა აფხაზმა ბოევიკებმა სერიოზულ ომში გადაზარდეს. დაახლოებით ორსაათიანი ორმხრივი სროლისას ორი ქართველი პარტიზანი იქვე დაიღუპა, ორ მძიმედ დაჭრილ მეომარს კი ზუგდიდის საავადმყოფოში სასწრაფო მძიმე ოპერაცია ჩაუტარდა. აფხაზებს ტყვედ ჩაბარდა ალყაში მოქცეული და დაჭრასა და სიკვდილს გადარჩენილი მალხაზ მელქანია,

გაგრძელება A3 გვერდზე

ომალოში ადამიანთა გამტაცებელი დააკავეს

ინგა ალავიძე

გუშინ, ძალოვანთა მიერ პანკისში ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციის მორიგი რაუნდი სერიოზული ნადავლით არ გამოირჩეოდა. თუმცა, პოლიციის ხელთ არსებული დამნაშავე-ძებნილთა სია სამი დასაჭერით შემცირდა.

პანკისის ხეობაში გუშინ კიდევ სამი კრიმინალი დააკავეს. წვრილმანი ქურდობისთვის ძებნილი ჯაფარ გაორგაშვილი, დეზერტირი აბუ აჭიაშვილი და საქონლის ქურდობაში მხილებული ავთანდილ დავიდოვი. გუშინდელი შედეგების მიხედვით, პოლიციის სათვალავში უკვე შვიდი ძებნილის დაკავებაა.

არსებული ინფორმაციით, ძალოვანები გუშინწინ ჩატარებული ოპერაციის გაგრძელებაზე ოპერატიულად მუშაობენ და ხეობის ყველაზე მაღალმთიან სოფელში დაკავებული სერიოზული კრიმინალის ხვიჩა ჩოფანაშვილის პარტნიორთა დაპატიმრებისთვის ემზადებიან.

გაგრძელება A3 გვერდზე

რომელ ვექტორზე მოძრაობს საქართველო: დასავლეთის თუ ჩრდილოეთის

ია ანთაძე

რადიო "თავისუფლება",
სპეციალურად "24 საათისთვის"

საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია და სტრატეგიული ამოცანები საყოველთაოდ არის ცნობილი: ჩვენი ქვეყანა მოძრაობს დასავლეთის ვექტორზე, იგი უკვე არის გაერო-ს, ეუთო-ს, ევროსაბჭოსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი; საქართველოს ხელისუფლების მიზანია, ქვეყანა უახლოესი ათწლეულის განმავლობაში გაწევრიანდეს ნატო-სა და ევროკავშირში.

თითქოს, ყველაფერი მზესავით ნათელია, ოღონდ, გაუგებარი ის არის, თუ რატომ ვერ მოძებნეს ამ პროდასავლურ ვექტორზე მოძრავ ხელისუფლებაში საკუთარი ადგილი პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკურმა ძალებმა; სამაგიეროდ, ამავე ხელისუფლებაში რატომ გრძნობენ თავს მშვენივრად ის ადამიანები, რომლებიც, ასაკის მიუხედავად, მძაფრი საბჭოური ელფერით გამოირჩევიან.

თუ კარგად დავაკვირდებით, სწორედ ეს გაუგებრობა იწვევს გაუთავებელ საუბრებს საშემოდგომოდ დაგეგმილ დესტაბილიზაციაზე. და უკვე ტრადიციად ქცეული საზაფხულო მუქარა: "დარდუბალა მოვიდა!" - სწორედ იმათ დასაშინებლად არის განკუთვნილი, ვინც, მუქარის ავტორების აზრით, სხვის ადგილებს უსამართლოდ იკავებენ საქართველოს ხელისუფლებაში.

გაგრძელება A4 გვერდზე

საპარლამენტო ოპოზიციის პრინციპულობის ტესტი

თამარ ხორბალაძე

დღეს საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ოპოზიციის ნაწილი კვლავ წამოჭრის გუბერნატორების თემას.

წესითა და კანონით, ეს საკითხი საგანგებო სესიის რიგგარეშე სხდომაზე უნდა განხილულიყო, რომელიც, წინასწარი შეთანხმების თანახმად, სპეციალურად ამ მიზნით უნდა ყოფილიყო მოწვეული, მაგრამ საქართველოს პარლამენტმა საგანგებო სესია ისე დახურა, გუბერნატორების თემა აღარ გახსენებია.

მაშინ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებული განცხადების მიღება ისეთი აჟიოტაჟის საფუძვლად იქცა, რომ შიდასახელმწიფოებრივი პრობლემებისთვის ვეღარ მოიცალეს.

სამაგიეროდ, შეთანხმდნენ, რომ გუბერნატორებს მიხედავდნენ სასექტემბროდ, საშემოდგომო სესიის დასაწყისში.

გაგრძელება A4 გვერდზე

„მალე დსთ-ს საპროტესტო დემარშისთვისაც ვერ გამოვიყენებთ"

ვერიკო თევზაძე

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე საქართველოს პარლამენტის მოთხოვნას, რუსული სამშვიდობო ჯარების გაყვანისა და დსთ-დან გასვლის შესახებ, არარაციონალურს და არარეალურს უწოდებს. ***"თუ ჯარების გაყვანა არარაციონალურია, მაშინ ერთი წლის წინათ რატომ დაჰპირდა შევარდნაძე კანცელარიასთან შეკრებილ ხალხს, რომ ამ საკითხს დადებითად გადაწყვეტდა?"*** *– ამგვარი შეკითხვა დასვა "24 საათთან" საუბრისას პარლამენტარმა* ***გიორგი ბარამიძემ.***

პრეზიდენტი ცდილობს, რომ კონფლიქტური არ იყოს და იძულებულია, ისაუბროს მისთვის საკმაოდ უცხო თემაზე - ემოციურ სამყაროზე. ემოციის "სფეროში" ბატონი შევარდნაძე პარლამენტს თანაუგრძნობს.

გუშინდელ რადიოინტერვიუში ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ აფხაზეთში დისლოცირებული სამშვიდობო ძალები იძლევიან იმის გარანტიას, რომ ფართომასშტაბიანი ომი არ განახლდება. **"ადრე თუ გვიან დღის წესრიგში უეჭველად დადგება მათი გაყვანის საკითხი. მანამდე უნდა გადაწყდეს ჩანაცვლების საკითხი, რისთვისაც არც გაერო და არც სხვა ქვეყნები, ჯერჯერობით,**

გაგრძელება A4 გვერდზე

სატელევიზიო „მეკობრეობის" წინააღმდეგ კანონი ამოქმედდა

სოფო კვინტრაძე

პირველი სექტემბრიდან სატელევიზიო ეთერით გადაცემული არალიცენზირებული ფილმები კანონის დარღვევად ითვლება, რაც მაუწყებელ კომპანიას, შესაძლოა, სამაუწყებლო ლიცენზიის ჩამორთმევადაც კი დაუჯდეს.

"როდემდე უნდა იყოთ "პირატული" ქვეყანა?" – *კავშირგაბმულობის ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, რომ ამ კითხვით მათთვის არაერთხელ მიუმართავთ, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე რუსული მასმედიის წარმომადგენლებს, რომლებიც ქართული ტელეარხების მიერ მიტაცებულ საკუთარ პროდუქციაზე ჩივიან. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ კი, რომლის წევრიც საქართველო 1999 წელს გახდა, ქვეყნის მთავრობას ერთ-ერთ მოთხოვნად*

გაგრძელება A3 გვერდზე

ამინდი

თბილისი	28
ქუთაისი	28
ბათუმი	26
სოხუმი	27
ფოთი	26
თელავი	27
ზუგდიდი	28
გორი	24

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1650
ევრო	2.1325
გირვანქა სტერლინგი	3.3635
რუბლი	0.0685

საქართველოს დღეს პროფესიონალები სჭირდება

პირველკურსელები უნივერსიტეტის ბაღში მარიკა ამპარელაშვილის ფოტო

დალი კუპრავა

უნივერსიტეტში პირველკურსელების წლევანდელი შეხვედრა, წინა წლებთან შედარებით, განსაკუთრებით პომპეზური იყო. პირველ კორპუსთან უამრავმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი.

კიდევ ერთხელ შეთეთრებული ფასადის წინ, რექტორთან ერთად იყვნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, პარლამენტის თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე და პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი.

რექტორისა და სხვათა გამოსვლამისალმებები კეთილი სურვილებითა და იმედისმომცემი დაპირებებით იყო გაჟღენთილი და ნოსტალგიის მთრთოლვარე ჰანგზე სრულდებოდა - ყველა გამომსვლელი საკუთარ უნივერსიტეტელობას იხსენებდა.

წინა რიგებში მდგომმა პირველკურსელებმა მონდომებით წაიკითხეს ფიცი, შესრულდა "გაუდეამოსიც", რომელსაც უფროსები უფრო მონდომებით მღეროდნენ. განსაკუთრებით უნისონში "ვივა აკადემია, ვივა პროფესორეს" ჟღერდა.

შემდეგ, ხუთწლიანი ტრადიციისამებრ, პირველკურსელ იურისტებს პარლამენტის სხდომათა დარბაზში პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა. სტუდენტები უნებურად სხდებოდნენ, ზოგი პოზიციის და ზოგი ოპოზიციის მხარეს. "პულტებს და ბორჯომს არ დაგვირიგებენ, ერთმანეთს რომ ვესროლოთ და შევასხათო? "- იკითხა ერთ-ერთმა.

პარლამენტარებმა სტუდენტებს მაღალი პროფესიონალიზმისკენ მოუწოდეს. ფაკულტეტის დეკანმა პარლამენტს ყველაზე იურიდიული დაწესებულება უწოდა და სტუდენტებს საუკეთესო პერსპექტივად იქ მუშაობა დაუსახა. აღმოჩნდა, რომ ჩვენს გვერდით მჯდომ პირველკურსელს ეს მოწოდება არც სჭირდებოდა, როგორც გვითხრა, მხოლოდ პარლამენტარობას აპირებს.

საღამოს უნივერსიტეტის ბაღი ახალგაზრდებმა და მუსიკამ აახმაურა. ლექციების ცხრილიც ტრადიციულად ბეჯითმა პირველკურსელებმა ჩაიწერეს და დღეიდან აუდიტორიებს მიაშურებენ. მაგრამ, თეა თუთბერიძეს, უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტს, რომლის სარჩელმაც მთელი აგვისტო ჩარიცხულ აბიტურიენტთა ნერვიულობის თვედ გადააქცია: "მიგვიღეს, თუ არ მიგვიღეს?!", ახალი სარჩელი აქვს გამზადებული. "სასამართლოს გადაწყვეტილებამდე როინ მეტრეველს უფლება არ ჰქონდა, პირველკურსელებისთვის სასწავლო წელი დაეწყო. ამიტომ, ამ დღეებში კერძო საჩივარი შემაქვს რექტორის წინააღმდეგ"-თქვა მან.

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A3 ეკონომიკა A3 სამართალი A4 პოლიტიკა

B2 სპორტი B3 ანკეტა B4 სხვადასხვა

მოვლადი უდუგოვი: „რუსეთი საქართველოში ტერორისტულ აქციებს გეგმავს"

პირველი გვერდიდან

ომში, რომელიც უკვე ერთი წელია, თავად პუტინმა დასრულებულად გამოაცხადა.

პუტინი, რომელიც ხელისუფლებაში ჩეჩნეთში სისხლიანი ვაკხანალიის ხელახალი გაჩაღების ლოზუნგებით მოვიდა, ახსნა-განმარტებებისთვის მზად არ არის. პარალელურად, არც რუსეთის საზოგადოებაა მზად, ჩეჩნეთში დასავლეთის ფინანსური და სამხედრო დახმარება იმ სახით მიიღოს, როგორც ეს ათი დღის უკან იმავე "ფაინენშელ თაიმსის" ფურცლებზე გამოითქვა: **"თუ რუსეთი შესაძლებლად მიიჩნევს საქართველოს ტერიტორიაზე საკუთარი ჯარების შეყვანას, ასევე სამართლიანი იქნება არარუსული სამხედრო ძალების მონაწილეობა ჩეჩნეთის კონფლიქტში. ასეთი მონაწილეობა შეიძლება დაწყებულიყო საშუამდგომლო მცდელობებით, რაც ჩეჩნეთში სამშვიდობო ძალების, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის აღმდგენი რაზმებისა და ჰუმანიტარული დახმარების დიდი პაკეტის შესვლით დასრულდებოდა. ბატონი პუტინი ამას, რა თქმა უნდა, შეეწინააღმდეგებოდა, თუმცა, საკმაოდ დიდი ფინანსური დახმარება მას დაარწმუნებდა,"** – ამ ინიციატივით "ფაინენშელ თაიმსი" 21 აგვისტოს გამოვიდა.

დასავლეთის ეს ინიციატივა მოსკოვმა შეაფასა, როგორც კავკასიაში რუსეთის პოზიციების შესუსტება. ამ ინიციატივაზე პუტინის პასუხის კონტურები უკვე გამოიკვეთა და ის, როგორც ჩანს, კვლავაც სისხლიანი იქნება. გუშინ, მთელი დღის მანძილზე ჩეჩნეთის თექვსმეტი არასამთავრობო ორგანიზაცია მთელ მსოფლიოში ავრცელებდა მიმართვას - "გვიშველეთ!" ინფორმაციის ავტორები ამტკიცებენ, რომ **"უახლოეს დღეებში ჩეჩნეთის ტერიტორიაზე დაგეგმილია ფართომასშტაბიანი ოპერაცია, კოდური სახელწოდებით "ფინალი". ოპერაციაში ერთდროულად მიიღებენ მონაწილეობას რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო დაზვერვის სამმართველოს ძალები. ოპერაციას პირადად უხელმძღვანელებს თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი. ოპერაციის მიზანია ჩეჩნეთის რვა მთაგორიანი რაიონის ე.წ. გაწმენდა ("ზაჩისტკა")".** ჩეჩნების მტკიცებით, **"ფინალის" მიზანი ამ რაიონებში დარჩენილი მოსახლეობის ფიზიკური განადგურებაა".**

ნიშანდობლივია, რომ ინფორმაციის გაჟონვას სადამსჯელო ოპერაცია "ფინალის" შესახებ, წინ უსწრებს სიტუაციის გართულება გალის რაიონში (პანკისში დაძაბულობის შედარებითი განეიტრალების ფონზე). გაურკვეველ ვითარებაში, რუსეთის სამშვიდობო ძალები და აფხაზი ბოევიკები ხვრეტენ სამ ქართველ პარტიზანს. ვინაიდან რუსეთი აუცილებლად ეცდება, გადაიტანოს ყურადღება ჩეჩნეთში გაჩაღებული მორიგი სისხლიანი აქციიდან, უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ გართულებებს გალშიც, კოდორის ხეობაშიც და, შესაძლოა, პანკისშიც, სადაც, საქართველოს უშიშროების სამსახურის ცნობით, რუსეთს სერიოზული აგენტურული ქსელი აქვს. არ არის გამორიცხული გარკვეული პროვოკაციები თბილისშიც, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ყველა ძალოვანი უწყების ყურადღება პანკისისკენაა მიმართული.

საინტერესოა, რომ ამ მოსაზრებებს იზიარებს ჩეჩნეთის საგარეო ინფორმაციის სამსახურის უფროსი მოვლადი უდუგოვიც, რომელიც ამჟამად თურქეთში ცხოვრობს: **"ჩვენ გვაქვს ყველა საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ რუსეთი აუცილებლად შეიჭრება საქართველოში, როგორც კი აშშ ერაყს დაარტყამს. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩეჩნეთის სადაზვერვო სამსახურებისა და იმ რუსი ოფიცრების მონაცემებზე, რომლებიც ჩვენთან თანამშრომლობენ. ჩვენთვის ცნობილია ის სცენარიც, რომელიც რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ აქვს შემუშავებული. მოსკოვი კვლავ მასიურად დაბომბავს პანკისს და შეეცდება დესანტის გადასხმას, პარალელურად კი მოახდენს კოდორის ხეობაში საომარი მოქმედებების გაჩაღებას, რაშიც აფხაზური არმიის ფორმაში გადაცმულ რუსებს გამოიყენებს. შეტაკების შემდეგ კი რეგიონში სიტუაციის ესკალაციაში საქართველოს დაადანაშაულებს. სცენარის შემადგენელი ნაწილია სისხლიანი ტერორისტული აქტი თბილისში ან პანკისში, ქართველი მოსახლეობის ან საქართველოს შეიარაღებული ნაწილების წინააღმდეგ, რისთვისაც გამოყენებულნი იქნებიან დივერსიული ჯგუფები, მათ შორის, ჩეჩნების ჯგუფიც, რომელიც ვოლგოგრადის ოლქის სამხედრო ბანაკ "პრუდბოიშია" მომზადებული. ჩვენი ინფორმაციით, საქართველოზე თავდასხმაში აქტიურად იქნებიან ჩართულნი ამ რესპუბლიკაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ნაწილებიც".**

ამერიკელი სამხედროები ხელისუფლებას ჰრესასთან ურთიერთობის გამოცდილებას უზიარებენ

პირველი გვერდიდან

რომელმაც 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში დაიწყო მუშაობა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, საზოგადოების ინფორმირება და სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცა. აქედან გამომდინარე, სამხედრო განათლების თანამედროვე სისტემაში სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს ოფიცრებისთვის საკომუნიკაციო ხელოვნების ზოგიერთი ასპექტის - პრეს-კონფერენციების ჩატარების, წერილობითი თუ ზეპირი ინფორმაციის გავრცელებისა და საველე პირობებში მედიაჯგუფების ორგანიზების შესწავლა. მუშაობის ეს ფორმა, ბუნებრივად გულისხმობს სახელმწიფო საიდუმლოს მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის საფუძვლიან ცოდნას, რათა ღია ინფორმაციულ ნაკადში არ მოხვდეს კლასიფიცირებული ინფორმაცია. ასეთი ცოდნა საბრძოლო ოპერაციათა გაშუქების დროს მოეთხოვებათ ჟურნალისტებსაც, რომლებიც სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ დეტალურად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი ოპერაციის ხასიათისა და შესაძლო საფრთხეების შესახებ. ამერიკის არმიის უფროსი რეზერვისტი სამხედრო მოსამართლის, გენერალ ჯეფრი არნოლდის განცხადებით, ამგვარი თანამშრომლობა სამხედროებსა და მასმედიას შორის სახელმწიფოებრივი ინტერესითაა ნაკარნახევი და ურთიერთგაგებას ეფუძნება:

"მე აქ წარმოვადგენ სამხედრო ხელმძღვანელობას, რომლის პრინციპული პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ სამხედროები ვალდებულნი არიან, დაეხმარონ ჟურნალისტებს მათი მოვალეობის შესრულების დროს. მედია კი გვეხმარება იმაში, რომ აცნობს ჩვენს საქმიანობას საზოგადოებას. ასე რომ, ეს არის მჭიდრო თანამშრომლობა, რასაც ჩვენ დიდად ვაფასებთ," - განაცხადა გენერალმა ჯეფრი არნოლდსმა.

სამხედრო უწყებათა პრესცენტრების წარმომადგენლებმა მიიღეს სპეციალური სახელმძღვანელო, სახელწოდებით "კანონი, მედია და სამხედროები".

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სემინარის თემატიკით უფრო მეტი დაინტერესება არასამთავრობო ორგანიზაციებმა და პრესის წარმომადგენლებმა გამოხატეს, ვიდრე სახელისუფლებო სტრუქტურების პასუხისმგებელმა პირებმა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული მხარის ეს ინიციატივა, რომლის მთავარი დანიშნულება გახლდათ გულახდილი დიალოგის დაწყება ძალიან აქტუალურ პრობლემაზე, სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა ხელისუფალთა მხრიდან.

თბილისი. სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს თბილისის სკოლებში უინციდენტოდ არ ჩაუვლია. გუშინ თბილისის №55-ე საშუალო სკოლაში მე-8 კლასის მოსწავლეთა მშობლების მისვლამ სწავლის განახლებისადმი მიძღვნილი ცერემონიალი ლამის ჩაშალა. მშობლებს შვილების სკოლაში შეშვება არ სურდათ, რადგან ამ მოსწავლეებისთვის შერჩეული საკლასო ოთახი შეუკეთებელი დახვდათ. ისინი სკოლის ხელმძღვანელობისგან სხვა საკლასო ოთახის გამონახვას ითხოვდნენ.

ხელმძღვანელობა კი ამბობს, რომ ოთახს უსახსრობის გამო საფუძვლიანად ვერ გაარემონტებს, მაგრამ პრობლემას მოაგვარებს. "პრობლემას ასე გადავჭრით: კლასს დროებით მეორე სართულზე მდებარე ბიოლოგიის კაბინეტში ჩავიყვანთ, ბიოლოგიის პედაგოგებს ცოტა ხნით კაბინეტის გარეშე დავტოვებთ, ისინი მოსწავლეებს კლასებში თვითონ მიაკითხავენ. ამასობაში კი საკლასო ოთახს მცირე კოსმეტიკურ რემონტს ჩავუტარებთ და ბავშვებს უკან დავაბრუნებთ," – აცხადებს სკოლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე პარმენ მარგველაშვილი. **„24 საათი"**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ, გამთენიისას, მარშალ გელოვანის გამზირზე ისევ გაჩნდა რამდენიმემეტრიანი "ბუნებრივი" შადრევანი. ამჯერად გასკდა მეოთხე წყალსადენი ცენტრალური მილი, რომელიც წყლით მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ამარაგებს. თუჯის ეს 1000-მილიმეტრიანი წყალსადენი 60-იან წლებშია დამონტაჟებული. სპეციალისტების აზრით, ავარია სწორედ მისმა ხანდაზმულობამ გამოიწვია.

"თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობის განცხადებით, სარემონტო სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში ინარმოებს და პრობლემა დღეს დილისთვის მოგვარდება. **„24 საათი"**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტი შევარდნაძე ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადის მედალოსან ქართველ მოსწავლეებს შეხვდა.

ნიკა ჯიმშელეიშვილმა კორეაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, სანდრო თარხნიშვილმა- ბრინჯაოსი.

პრეზიდენტმა აღნიშნა ამ წარმატების დიდი მნიშვნელობა, რადგან ახალი ტექნოლოგიების განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოსთვის პრიორიტეტული სფეროა: "თუ ვინმეს უნდა დახმარება, პირველ რიგში ამ სფეროში უნდა დაგვეხმაროს", - თქვა მან. **„24 საათი"**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის 62-ე ახალქალაქის სამხედრო ბაზის სარდლობაში არ დაადასტურეს მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია, რომლითაც ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენშტაბის გადაწყვეტილებით, საქართველოს ტერიტორიიდან რუსი სამხედროების გაყვანის ფორსირება უნდა მოხდეს.

"არანაირი ოფიციალური ინფორმაცია და დირექტივა ამ საკითხთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა", - განაცხადა სარდლის მოვალეობის შემსრულებელმა პოლკოვნიკმა ანდრეი სტარკოვმა. მან ასევე აღნიშნა, რომ ბაზის სამხედრო მოსამსახურეთა 48 პროცენტი ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგენს, რომელთაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს. ოფიცერთა შემადგენლობიდან ამ კონტინგენტის ოდენობა 22 პროცენტია, 82 პროცენტი - პროპორშჩიკი, ამასთან, კონტრაქტორთა 5 პროცენტი დუხაბორები არიან, - თქვა ანდრეი სტარკოვმა.

ახალქალაქის მოსახლეობა არ მიესალმება ბაზის ფორსირებულ გასვლას, თუმცა, ეს უკვე პოლიტიკოსთა საქმეა, - თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. კომპანია "ეი-ი-ეს თელასმა" "თბილავიამშენს" ელექტროენერგია გაუფრთხილებლად შეუწყვიტა. ქარხანა ორი დღის განმავლობაში დენის გარეშე იმყოფებოდა, რამაც მას 126 ათასი ლარის ღირებულების პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობა დაუკარგა. მიუხედავად ამისა, "თბილავიამშენმა" აგვისტოს თვეში 4,4 მილიონ ლარამდე ღირებულების პროდუქცია აწარმოა, რომლის დიდი ნაწილი ორი თურქმენული სამხედრო თვითმფრინავის სარემონტო-სამოდერნიზაციო სამუშაოებისა და სააეროდრომო აღჭურვილობის დამზადების ღირებულებაზე მოდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე დღის მეორე ნახევარში ბათუმში გაემგზავრა, თუმცა, სახელმწიფო მინისტრის აპარატში ბოლო მომენტამდე ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს.

სარწმუნო წყაროს ცნობით, იგი უკვე შეხვდა აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს. საუბარი შეეხო ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნას, ასევე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხებს. როგორც ცნობილია, ასლან აბაშიძე არის საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხში. შეხვედრის სხვა დეტალები ცნობილი არ არის. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

ერევანი. ერევანში ცამეტმა ოპოზიციურმა პარტიამ ხელი მოაწერა განცხადებას სომხეთის ეროვნულ-პატრიოტული ძალების კავშირის შექმნის შესახებ, — განაცხადა ამ კავშირის წევრი სომხეთის დემოკრატიული პარტიის ლიდერმა არამ სარქისიანმა. მისი თქმით, კავშირის მთავარი მიზანია საარჩევნო ბლოკად გარდაქმნა, რომელიც ერთიან კანდიდატს წამოაყენებს ქვეყნის პრეზიდენტად. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. მიწის ნაყოფიერების შემცირებისა და ფინანსური სიდუხჭირის გამო სოფლის მოსახლეობა კერძო საკუთრებაში აღებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკან აბრუნებს. სოფლის მეურნეობაში შექმნილი პრობლემები გლეხებს მძიმე ტვირთად აწევს და ისინი იძულებულნი არიან, მიწები უკან დააბრუნონ. 1998-99 წლებში კერძო საკუთრებაში გაცემული მიწების 39,6 ათასი და იჯარით აღებული 43,2 ათასი ჰექტარი გლეხებმა უკან დააბრუნეს. ასეთ მიწებზე მოყვანილი პროდუქცია ხშირ შემთხვევაში მიწის გადასახადსაც ვერ ფარავს. მიწის 1 104,8 ათას მესაკუთრეს კომლის მიწის დამუშავებისა და მოსავლის აღების სახსრები არ გააჩნია. ზოგჯერ, საკრებულოები მიწის გადასახადს პირდაპირ პროდუქტით იხდიან. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის მხარე პანკისის ხეობაში საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ანტიკრიმინალური ოპერაციის დისკრედიტაციას ცდილობს, - განაცხადა პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბათიაშვილმა. მისი თქმით, რუსულმა მასმედიამ უკვე მოამზადა მთელი რიგი გადაცემები და პუბლიკაციები, რომლებიც მოწოდებულნი არიან, "ეჭვი შეიტანონ" ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში საქართველოს ხელისუფლების გულწრფელობაში. "მოსკოვი ამისათვის ფართოდ იყენებს მასმედიას" - აღნიშნა დეპუტატმა. "საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა ოპერაცია წარმატებით დაიწყეს და დარწმუნებული ვარ, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ", - აღნიშნა მან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ხელისუფლებამ მუშაობა დაასრულა კანონპროექტზე "სინდისის თავისუფლების შესახებ", რომელიც საზოგადოებაში ცნობილია "რელიგიის შესახებ" კანონპროექტის სახელით.

კანონპროექტის ავტორები აუცილებლად მიიჩნევენ დოკუმენტის პროექტის არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძოდ, თავისუფლების ინსტიტუტის სამსჯავროზე განსახილველად გამოტანას. პარლამენტში შეტანამდე დოკუმენტი უნდა გამოქვეყნდეს პრესით.

ხელისუფლება აპირებს, დააკმაყოფილოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის თხოვნა და კანონპროექტის განხილვის პარალელურად გააფორმონ კონკორდატი, შეთანხმება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველო მის ტერიტორიაზე მოქმედ საერთაშორისო ტერორისტებთან და შეიარაღებულ ბანდ-ფორმირებებთან გამკლავებას დამოუკიდებლად ვერ შეძლებს," - აცხადებს რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერი სერგეი მირონოვი. რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერს მიაჩნია, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე საქართველოს დსთ-ში დარჩენასთან დაკავშირებით გაწონასწორებულ და პრაგმატულ პოზიციას იკავებს. "დსთ არ არის ის ორგანიზაცია, რომელში გაწევრიანებაც ძალდატანებით ხდება," - აცხადებს მირონოვი, რომლის მტკიცებით, დსთ-ს ყველა წევრი ქვეყანა რუსეთის მხრიდან ენერგომატარებლების მოხმარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შეღავათებით სარგებლობს.

"კარის მოჯახუნების შემთხვევაში საქართველო თითებს თავად დაიტანიებს," - განაცხადა მირონოვმა საქართველოს მიერ დსთ-დან შესაძლო გამოსვლის კომენტირებისას. **ინტერ-პრესი.**

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია, ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

ერაყის დიპლომატია, ჯერჯერობით, წარმატებას აღწევს

ლევან ღირსიაშვილი

საერთაშორისო არენაზე ერაყის საკითხის გარშემო კვლავ დაძაბული და გაურკვეველი ვითარებაა შექმნილი. ერაყის ხელისუფლება აშშ-ს მუქარას დიპლომატიური სვლებით პასუხობს და მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის თავის სასარგებლოდ შეცვლას ცდილობს.

ორშაბათს ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ნაჯი საბრი მოკლე სამუშაო ვიზიტით მოსკოვს ეწვია და თავის რუს კოლეგას იგორ ივანოვს შეხვდა. ორი ქვეყნის დიპლომატიური სამსახურის ხელმძღვანელებმა ერაყ-რუსეთის ურთიერთობებისა და ერაყზე აშშ-ს შესაძლო დარტყმების განხორციელების საკითხები განიხილეს. საუბარი ასევე შეეხო ერაყში, ჰანს ბლეიკის მეთაურობით, გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისიის ვიზიტს.

საბრის ვიზიტის დაწყებამდე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მოსკოვის ნეგატიური დამოკიდებულება ერაყში სამხედრო ოპერაციის ჩატარების მიმართ. **"რუსეთის მხარე ცალსახად უჭერს მხარს ერაყის პრობლემის პოლიტიკურ-დიპლომატიური საშუალებებით მოგვარებას, ოღონდ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ჩარჩოში,"** - ნათქვამია განცხადებაში. დიპლომატიური წყაროების თანახმად, ნაჯი საბრი არ აპირებს მოსკოვში ვიზიტის დროს ერაყ-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური შეთანხმების 40-მილიარდიანი პროექტის საკითხის განხილვას.

აღსანიშნავია, რომ ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვში ვიზიტამდე, ვაშინგტონში რუსეთის საელჩოს ჩინოვნიკებმა ერაყის ოპოზიციის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეს. ამ მოვლენის კომენტირებისას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი რუტინული კონტაქტების დამყარება და საუბარი არ შეეხებოდა ოფიციალური მოლაპარაკებების წარმართვას. **"ამგვარი კონტაქტები არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს რუსეთის პოლიტიკის შეცვლას ერაყის ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ. ჩვენი პოზიცია ერაყთან დაკავშირებით ნათლად განსაზღვრული და შეუცვლელია,"** - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

ნაჯი საბრის ვიზიტს კომენტარი გაუკეთა ერაყის ელჩმა რუსეთის ფედერაციაში

იგორ ივანოვი და ნაჯი საბრი მოსკოვში შეხვედრის დროს REUTERS

აბას ხალაფიმ. მას იმედი აქვს, რომ რუსეთი ერაყს, აშშ-ს აგრესიის შემთხვევაში, სრულ პოლიტიკურ მხარდაჭერას აღმოუჩენს. **"ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი რუსი მეგობრები ერაყელი ხალხის მართალ საქმეს დაუჭერენ მხარს, რადგანაც რუსეთის ფედერაცია არის ქვეყანა, რომელიც მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად იბრძვის,"** - განაცხადა ერაყის ელჩმა. მისი თქმით, ერაყის ხელისუფლების მზადყოფნის მიუხედავად – ქვეყანაში დაუშვას გაერო-ს სამხედრო ექსპერტთა მისია – ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შესახებ მუქარები გრძელდება, რაც მხოლოდ და მხოლოდ ერაყის ლიდერის პოპულარობის ზრდას უწყობს ხელს.

ერაყის და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შესახებ აშშ-ს ადმინისტრაციას ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია. ცხადი, ვაშინგტონი შეხვედრის შედეგების გამოქვეყნებას ელოდება. თუმცა, ცოტა ხნით ადრე აშშ-მ შეშფოთება გამოთქვა "ბოროტების ღერძის" ქვეყნებთან - ერაყთან, ირანსა და ჩრდილოეთ კორეასთან რუსეთის თანამშრომლობის გაღრმავებასთან დაკავშირებით. ცხადია, ერაყის საკითხის გაჭიანურება და ბაღდადზე სამხედრო დარტყმების მიმართ მსოფლიოს მთელი რიგი წამყვანი ქვეყნების ნეგატიური დამოკიდებულება აშშ-ს გაღიზიანებას იწვევს. ერაყის ხელისუფლება კი ვაშინგტონისგან მოსალოდნელ საშიშროებას გაძლიერებულ დიპლომატიურ მანევრებს უპირისპირებს.

მოსკოვში ჩასვლამდე ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი პეკინში იმყოფებოდა, სადაც ჩინეთის ხელისუფლებასთან ოფიციალური მოლაპარაკებები გამართა. ამ ქვეყანაში ვიზიტს კი, როგორც ვიუწყებოდით, წინ უსწრებდა ოფიციალური პეკინისა და დელის ერთობლივი განცხადება, სადაც ორმა ქვეყანამ ცალსახად დაუჭირა მხარი ერაყის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. პეკინიდან ნაჯი საბრი დამასკოში ჩავიდა და სირიის პრეზიდენტს ბაშარ ალ-ასადს შეხვდა. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებამ სირიის ლიდერთან საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა. ამაზე მიუთითებს სირიის პრეზიდენტის მიმართვა, სადაც სირიამ არაბულ და მუსლიმურ ქვეყნებს ვაშინგტონის მუქარის წინააღმდეგ გაერთიანებისაკენ მოუწოდა. მიმართვაში ასადმა ბაღდადზე აშშ-ს სამხედრო დარტყმების საფრთხეს ისლამური ქვეყნების წინააღმდეგ "უცხოეთის შეთქმულება" უწოდა და რეგიონის დესტაბილიზაციისკენ მიმართულ აქციად მონათლა.

აღსანიშნავია, რომ ერაყს სირიასთან საკმაოდ დაძაბული და მტრული ურთიერთობები ჰქონდა. მათ შორის არსებული ვითარების ნორმალიზება ცოტა ხნის წინ დაიწყო. სირიამ ბაღდადთან ეკონომიკური კავშირები აღადგინა, რაშიც დიდი წილი ნავთობის სფეროში ვაჭრობის გაფართოებას ეთმობა. ვაშინგტონმა ამისათვის მკვეთრად გააკრიტიკა ოფიციალური დამასკო და სირიას ბაღდადზე დაწესებული საერთაშორისო სანქციების დარღვევაში დასდო ბრალი. ეჭვგარეშეა, სირიას არ სურს ნავთობის სფეროში ისეთი სერიოზული პარტნიორის დაკარგვა, როგორიც ბაღდადია. ერაყში სამხედრო ოპერაციების დაწყება კი დამასკოს როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააგდებს. ბაღდადიც ოსტატურად იყენებს სირიასთან ურთიერთობას და დამასკოს ინიციატივას ისლამური სამყაროს გაერთიანების შესახებ.

აშშ-ს სამხედრო მუქარამ ერაყის წინააღმდეგ, შესაძლოა, ეს ინიციატივა რეალობად აქციოს. ასეთი ეჭვის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ სირიის პრეზიდენტის მიმართვას შეუერთდა ირანის ლიდერი მოჰამად ხათამი. თუ გავითვალისწინებთ ერაყისა და ირანის ისტორიულად მტრულ ურთიერთობებს, ეს მოვლენა ბაღდადის დიპლომატიის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

ამავე ჩარჩოში ჯდება ერაყის და საუდის არაბეთის ურთიერთობების აღდგენა. ნაჯი საბრის მოსკოვში ვიზიტის პარალელურად, ბაღდადში საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენელი ჩავიდა, რომელიც ერაყის ხელისუფლებასთან გამართავს შეხვედრებს.

რუსეთისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის გარდა, ერაყი თავის დიპლომატიურ ძალისხმევას ევროპისკენაც მიმართავს. როგორც ცნობილი გახდა, ბაღდადმა ევროპის რიგ ქვეყნებში თავისი წარმომადგენლები გაგზავნა, რომელთაც დავალებული აქვთ, ევროპულ საზოგადოებას ერაყში აშშ-ს აგრესიული გეგმების შესახებ სრული სურათი წარუდგინონ.

ამავე დროს, ცნობილი გახდა სოციალური გამოკვლევის შედეგები აშშ-ს ჯერჯერობით ერთადერთ მოკავშირე სახელმწიფოში – დიდ ბრიტანეთში, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთის მოსახლეობის სამი მეოთხედი ერაყზე სამხედრო დარტყმების განხორციელებას, გაერო-ს უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე, მხარს არ დაუჭერს.

ამდენად, აშშ-ს მუქარა ერაყის წინააღმდეგ კვლავ განუხორციელებელი რჩება. სავარაუდოა, რომ ვაშინგტონი, მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის სათანადო შემზადების გარეშე, ერაყში სამხედრო ოპერაციას არ დაიწყებს. ამას ემატება აშშ-ს ყოფილი მოკავშირეების, როგორც ევროპული, ასევე არაბული ქვეყნების, მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ვაშინგტონის პოლიტიკის მიმართ, რუსეთის თანამშრომლობის გაღრმავება ერაყთან და ჩინეთის – აშშ-ს პოტენციური და სერიოზული მეტოქის – მკვეთრი განცხადება ერაყის სუვერენიტეტის მხარდაჭერის თაობაზე. თუ ამგვარი ვითარება შენარჩუნდება, საეჭვოა, აშშ ერაყის მიმართ თავისი მუქარის სისრულეში მოყვანას შეეცადოს.

პაუელი დროულად გადადგება

კოლინ პაუელი თანამდებობაზე კიდევ ორ წელიწადს დარჩება REUTERS

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ აუცილებლად გადადგება 2004 წლის ბოლოს, ჯორჯ ბუშის ახლანდელი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ. ჟურნალ "ტაიმის" ცნობით, პაუელი არ აპირებს თავისი თანამდებობის შენარჩუნებას ჯორჯ ბუშის ხელახალი ვადით არჩევის შემთხვევაში. იგი უარს ამბობს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზეც.

სახელმწიფო მდივანი პაუელი ცნობილია, როგორც ერაყზე თავდასხმის მოწინააღმდეგე და ახლო აღმოსავლეთში ზომიერი პოლიტიკის გატარების მომხრე. მიუხედავად იმისა, რომ მისი დღევანდელი პოზიცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ჩეინისა და თავდაცვის მინისტრ რამსფელდის შეხედულებებისაგან, პაუელი მაინც არ აპირებს დაუყოვნებლივ, დღესვე გადადგომას. იგი არც იმ შემთხვევაში წავა თანამდებობიდან, თუ ვაშინგტონი ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყებას მაინც გადაწყვეტს.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ, პაუელის გარეშე, რესპუბლიკურ ადმინისტრაციას, შეიძლება, პოლიტიკური პრობლემები შეექმნას.

ჩეჩნეთში დაღესტნელი ვაჰაბიტები გააქტიურდნენ

ცნობილმა დაღესტნელმა ტერორისტმა რაპანი ხალილოვმა პასუხისმგებლობა აიღო შაბათს ჩეჩნეთის მთებში ვერტმფრენის ჩამოგდებაზე. "მი-24" ტიპის სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენის ჩამოგდებისას მისი ორივე პილოტი დაიღუპა. საფრენი აპარატი გადასატანი საზენიტო მოწყობილობის - "იგლას" მეშვეობით დაეხიანეს, რასაც მისი ღრმა ხეობაში ჩავარდნა და აფეთქება მოჰყვა. ეს ტერაქტი ძალიან წააგავს ორი კვირის წინ სატრანსპორტო "მი-26"-ის კატასტროფას, რომლის დროსაც ასზე მეტი რუსი სამხედრო დაიღუპა.

ასლან მასხადოვის პრესმდივანმა მაირბეკ ვაჩაგაევმა პარიზში განაცხადა, რომ ჩამოგდებული რუსული ვერტმფრენი ჩეჩნურ დასახლებებს ბომბავდა.

რაპანი ხალილოვი, არაბების მიერ შერქმეული მეტსახელით "რაბანი", უკვე სამი წელია, ჩეჩნეთში ტერორისტების მომზადებითაა დაკავებული. რუსეთის სპეცსამსახურები მას 9 მაისს დაღესტნის ქალაქ კასპისკში საზეიმო დემონსტრაციის აფეთქებაში სდებენ ბრალს. ხალილოვის ანგარიშზე 18 ტერორისტული აქტია. შესაძლოა, რუს სამხედროებს ჩეჩნეთში ახალ ძალასთან – დაღესტნელ ვაჰაბიტებთან გამკლავება მოუწიოთ. რუსეთის სპეცსამსახურების მონაცემებით, ვაჰაბიტების რიცხვი დაღესტანში ათასს აღემატება. ("გაზეტა")

ეკონომიკა

პარლამენტს „თბილგაზის" გაყიდვის არ სჯერა

არასამთავრობო სექტორი "იტერა-ჯორჯიაში" "ეი-ი-ესის" შესვლას მხარს არ უჭერს

გიორგი კალანდაძე

ქონების მართვის სამინისტროსა და სახელმწიფო კანცელარიის შემდეგ, გუშინ საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პარლამენტს ეწვივნენ. მათ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძისა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძისგან მოითხოვეს "იტერასთან" საქართველოს მთავრობის მოლაპარაკების შეწყვეტა და ზეწოლის განხორციელება ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაზე, ელექტროენერგიის ტარიფის დადგენის საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის "იტერასთან" ერთობლივი საწარმოს შესაძლო შექმნის საკითხს პარლამენტი ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე განიხილავს. ამით პარლამენტი ნაწილობრივ თუ შეცვლის მისდამი არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებას, რომელიც ერთი კვირის წინ პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში "იტერას" საკითხის გაუთვალისწინებლობამ განაპირობა. მაშინ პარლამენტართა დიდმა ნაწილმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რუსეთის მიერ პანკისის ხეობის დაბომბვის გამო მიღებულ საპროტესტო დადგენილებაში, რუსეთთან საქართველოს საკითხის საბოლოო მოგვარებამდე, ცალკე მუხლად შეეტანა "იტერასთან" მოლაპარაკების შეჩერება. **"პარლამენტართა ორი მესამედი ამომრჩეველთა ინტერესს არ ითვალისწინებს. ჩვენ პირობას გაძლევთ, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე რკინის ქალამნებს ჩავიცვამთ და ყოველი ასეთი დეპუტატის ლუსტრირებას მოვახდენთ",** - გააფრთხილა პარლამენტის თავმჯდომარე არასამთავრობო ორგანიზაციის - "ვაკის გონივრული განვითარების" წარმომადგენელმა ლეილა გაფრინდაშვილმა.

ამ ორგანიზაციის კიდევ ერთმა წევრმა, ნანული ქაჩიბაიამ ჩამოაყალიბა შეხვედრაზე მისული არასამთავრობოების ძირითადი მოთხოვნები: რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის საბოლოო გარკვევამდე შეწყდეს მოლაპარაკებების პროცესი "იტერასთან" ერთობლივი კომპანიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, უნდა დადგინდეს ქვეყანაში არსებული სტრატეგიული საწარმოების ნუსხა, რომელთა გაყიდვაც კანონით აკრძალული იქნება. ქაჩიბაია გამოეხმაურა იუსტიციის სამინისტროს მიერ ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის მიერ ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის შესახებ მიღებული დადგენილების დაწუნებისა და შემდგომი გადამუშავებისთვის მისი დაბრუნების ფაქტს. ქაჩიბაიამ დემურ გიორხელიძეს დაწუნებული დადგენილების ხელახალი განხილვის პროცესში ჩართვისკენ მოუწოდა. მისი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციები "ეი-ი-ეს თელასს" ფინანსურ მაქინაციებში სდებენ ბრალს და კომპანიის ბრალეულობის საკითხის განხილვას სასამართლოში აპირებენ.

არასამთავრობოთა წარმომადგენლებმა უარყოფითად შეაფასეს ხელისუფლების ბოლო ინიციატივა, "იტერასთან" შესაქმნელ ერთობლივ კომპანიაში აქციონერად "ეი-ი-ესის" შესვლის შესახებ.

ორგანიზაცია "საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოების" პრეზიდენტი მირონ ფირცხელანი პალამენტარებს ქუჩის აქციებით დაემუქრა, თუ არ შეწყდება სტრატეგიული ობიექტების – "თბილგაზის", მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების, "ელექტროგადაცემისა" და "ელექტროდისპეტჩერიზაციის" – გასხვისების პროცესი.

დემურ გიორხელიძემ არასამთავრობოთა გულის მოგება სცადა და მათ აუწყა, რომ ერთ კვირაში შედგება მისი შეხვედრა "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურ დირექტორთან იგნასიო ირიბარენთან. **"ჩვენ მას შევთავაზებთ, რომ "ეი-ი-ესი" ნებაყოფლობით წავიდეს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული კონტრაქტის დებულებების შეცვლაზე. ამას ჩვენ ხისტად, მაგრამ დელიკატურად მოვითხოვთ",** - აღნიშნა გიორხელიძემ. მან ასევე სცადა, დაერწმუნებინა არასამთავრობოთა წარმომადგენლები, რომ მთავრობა "თბილგაზის" პრივატიზებას არ აპირებს.

რაც შეეხება ერთობლივი კომპანიის შექმნას, გიორხელიძემ აღნიშნა, რომ ამის გაკეთებას საქართველოს ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი არ ჩქარობს, მისი თანხმობის გარეშე კი ასეთი კომპანია არ შეიქმნება. **"მერწმუნეთ, მთავრობაში "თბილგაზის" გაყიდვა არავის სურს. ერთობლივი საწარმოს შექმნა "თბილგაზის" გაყიდვას არ ნიშნავს",** - აღნიშნა გიორხელიძემ და დასძინა: **"თუ "იტერასთან" ხელშეკრულების გაფორმების პროცესი შეცდომების გარეშე ჩაივლის".**

სატელევიზიო „მეკობრეობის" წინააღმდეგ კანონი ამოქმედდა

პირველი გვერდიდან

არალიცენზირებულ, ანუ მოპარულ სატელევიზიო პროდუქციასთან ბრძოლა წაუყენა. ჩვენთან კი თითქმის არავის უკვირს, თუ რომელიმე არხი თავის ეთერში ისეთ ფილმს აჩვენებს, რომლის პრემიერა ჯერ ფილმის მწარმოებელ ქვეყანაშიც არ შემდგარა.

კანონი, რომელიც საავტორო უფლებების დასაცავადაა შექმნილი და ამოქმედებული, მხოლოდ ქაღალდზე რჩება. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეიმუშავა ცვლილებები, რომელიც "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ კანონში" შევიდა.

"დღემდე ამ საკითხს აწესრიგებდა "კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ", თუმცა, აღნიშნულ კანონს სხვა მექანიზმები ჰქონდა საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. კერძოდ, დავის დაწყების უფლება საავტორო უფლებების დარღვევაზე მხოლოდ იმ პირს ჰქონდა, ვისი საავტორო უფლებაც უშუალოდ ირღვეოდა. ჩვენს მიერ შეტანილი ცვლილებით კი ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას, რომელიც დაკავშირებულია საავტორო უფლებებთან, შეუძლია მიმართოს ჩვენს კომისიას და სატელევიზიო ან რადიო ეთერში გასული არალიცენზირებული პროდუქციის შესახებ აცნობოს. თუ სამაუწყებლო კომპანია მართლაც ვერ წარმოადგენს ლიცენზირების დამადასტურებელ დოკუმენტს, მის წინააღმდეგ შესაბამისი ზომები მიიღება," – აცხადებს კავშირგაბმულობის ეროვნული კომისიის იურიდიული სამსახურის უფროსი გიორგი კვერენჩხილაძე.

ლიცენზირების დამადასტურებელი დოკუმენტი მოეთხოვება ნებისმიერი სახის საეთერო პროდუქციას. რაც შეეხება სადამსჯელო ზომებს, კანონით განსაზღვრულია, რომ, მაქსიმუმ, სამი თვის ვადით მოხდება სამაუწყებლო ლიცენზიის შეჩერება, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში, კომპანიას ლიცენზია ჩამოერთმევა.

კავშირგაბმულობის ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, რომ მათ ეს ცვლილებები სამაუწყებლო კომპანიებთან ერთობლივი დიალოგის შედეგად მიიღეს. **"საეთერო კომპანიების მხრიდან თითქმის არანაირი პრობლემა არ ყოფილა. პირიქით, მათ უნდათ, რომ კანონიერ პროდუქციას უშვებდნენ ეთერში. ისინი აცხადებენ, რომ მიესალმებიან, თუ, კანონის ძალით, ნებისმიერი სამაუწყებლო კომპანია თანაბარ პირობებში ჩადგება,"** – განაცხადა კავშირგაბმულობის ეროვნული კომისიის წარმომადგენელმა გიორგი რატიშვილმა. კანონის ამუშავების მთავარი მექანიზმი მაუწყებლებს შორის არსებული კონკურენციაა. კომისიაში მიაჩნიათ, რომ თავად სატელევიზიო არხები გააკონტროლებენ ერთმანეთს. ამდენად, სამაუწყებლო კომპანიებს შორის არსებობისა და თანაარსებობის ახალი ეტაპი იწყება.

სამართალი

ომალოში ადამიანთა გამტაცებელი დააკავეს

პირველი გვერდიდან

სხვათა შორის, პანკისელი ქისტის, ხვიჩა ჩოფანაშვილის ბიოგრაფია კრიმინალური შტრიხებით მართლაც ძალიან დამძიმებულია. იგი სოფელ ომალოს მკვიდრია და 20 წლის მანძილზე კახეთის სხვადასხვა რაიონებში ცხოვრობდა. მას ცნობილ ჩეჩენ ბოევიკებთან ახლო ნათესაობა აკავშირებდა და რუსეთ-ჩეჩნეთის საომარ მოქმედებებშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ხვიჩა ჩოფანაშვილი პანკისის ხეობაში ყველაზე ცნობილი კრიმინალური დაჯგუფების, ვეფხია მარგოშვილის ჯგუფის აქტიური წევრი იყო. ეს ჯგუფი ნარკოტიკებით ვაჭრობასა და ადამიანთა გატაცებაზე მუშაობდა. მარგოშვილის მკვლელობის შემდეგ ლიდერის ადგილი ჩოფანაშვილს ერგო. პანკისის ხეობის კრიმინალურ ავტორიტეტს კანონდამცველები მესამე წელია, ეძებენ. თუმცა, მისი ძებნით ამ პერიოდში დიდად არც არავინ შეწუხებულა, რადგან პოლიცია მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას ფლობდა, მაგრამ იმის გამო, რომ პანკისის სიღრმეში – ომალოში მათი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა, ვერ იჭერდნენ.

პოლიციას დეტალური ინფორმაცია გააჩნდა მისი და მისი ჯგუფის წევრების საქმიანობის შესახებაც. ჩოფანაშვილი და მისი ბანდის წევრები თბილისიდან იტაცებდნენ მძევლებს და ან ომალოში, ვეფხია მარგოშვილის სახლში ატყვევებდნენ, ანდა "ბაწარას ნაკრძალში" – ტყეში, გატაცებულ მძევალთათვის სპეციალურად აგებულ ქოხში. არსებული ინფორმაციით, ჩოფანაშვილი ერთ-ერთ იმ კრიმინალთაგანია, ვინც გატაცებულ პარლამენტარს პეტრე ცისკარიშვილსა და მის საცოლეს "მასპინძლობდა" ვეფხია მარგოშვილის სახლში, ომალოში, სადაც გატაცებულები ორი კვირის მანძილზე ტყვედ იმყოფებოდნენ. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სწორედ ჩოფანაშვილის მიერ იყო ორგანიზებული ესპანელ ბიზნესმენთა გატაცებაც.

ვეფხია მარგოშვილის მკვლელობის შემდეგ ხვიჩა ჩოფანაშვილი ხეობიდან აღარ გადიოდა. თუმცა, იგი თითქმის ყველა გატაცებას ორგანიზატორობდა და გატაცებულის მიმღების ფუნქციას ასრულებდა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ინგლისელი ბანკირი პიტერ შოუ სწორედ მისმა ჯგუფმა აიყვანა მძევლად. იგი შოუს გატაცებასთან დაკავშირებით სოლიდურ ინფორმაციებს ფლობს. ახმეტიდან შსს-ს წინასწარი დაკავების საკანში გადაყვანილი ჩოფანაშვილისგან კანონდამცველები ახლა იმ დეტალების დადგენას ცდილობენ, რომლებიც შოუს გატაცებასთანაა დაკავშირებული.

ყალბი ფული თურქეთიდან

სოფიკო ჩხაიძე

ქართველ სამართალდამცველებს ყალბი დოლარების ამხელა პარტია კარგა ხანია ხელში არ ჩავარდნიათ – 802 ცალი ასდოლარიანი კუპიურა და მათი ორი გამსაღებელი სახუმარო საქმე ნამდვილად არ გახლავთ. თანაც, პოლიცია ირწმუნება, დაკავებულებმა ყალბი ვალუტის რეალიზაცია ვერც მოასწრესო.

ქალაქ რუსთავში მცხოვრებნი ვახტანგ ღაჟონია და ალექსანდრე ბოჩიკაშვილი სამართალდამცველებს სულ ადვილად "ჩაუვარდნენ ხელში". დაკავებამდე ორი დღით ადრე ორი ცალი ასდოლარიანი შეასაღეს მავანს და უფრო დიდი ფულის მიტანას სამომავლოდ დაჰპირდნენ. დათქმულ ადგილზე -- თავისუფლების მოედანზე, პუშკინის სკვერში -- კლიენტისათვის ფულის გადაცემისას, თავს პოლიცია წაადგათ. ამას კი სამართალდამცველთა ენაზე "ფაქტზე აყვანა" ჰქვია. დაკავებულებს 80 ათასი დოლარის ოდენობის ყალბი ფულის კუპიურები აღმოაჩნდათ.

ცხადია, თაღლითები იმ კლიენტმა "გაყიდა", რომელსაც ორი ასდოლარიანი მიჰყიდეს და ახლა 800 ამგვარი ყალბი ფულის მიყიდვას უპირებდნენ. მან კი განცხადებით მიმართა შს სამინისტროს ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება-გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებას. კლიენტმა, რასაკვირველია, იცოდა რაც შეიძინა. მეტიც, მისი აღიარებით, ყოველ ყალბ ასდოლარიანში თხუთმეტი დოლარი ნაღდი ფული უნდა გადაეხადა. ასეთია შავ ბაზარზე ყალბი დოლარის ფასი.

ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება-გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსის მოადგილის, სერგო გიორგაძის თქმით, **"ღაჟომიას და ბოჩიკაშვილის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე კოდექსის 212-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს 7-12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. მოკვლევის შედეგად უკვე დადგენილია, რომ ყალბი დოლარები ბათუმიდან შემოიტანეს, ხოლო დაკავებულებმა ისინი, ჯერჯერობით, დაუდგენელი პირისგან შეიძინეს. წინასწარი ინფორმაციით, ყალბი კუპიურები თურქეთში უნდა იყოს დამზადებული. დამზადების დონე საკმაოდ მაღალია.**

დაკავებულთათვის ეს ყალბი დოლარების გასაღების პირველი შემთხვევაა; თუმცა, სანამ ჩვენ გადავამოწმებდით, ღაჟონიამ თავადვე აღიარა, რომ ადრე რუსეთში თაღლითობისთვის იყო ნასამართლევი".

ყალბი დოლარები, ცხადია, განადგურებას ექვემდებარება. ყალბი ფულის გამსაღებლების საკითხს კი შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი შეისწავლის, რომელმაც სისხლის სამართლის საქმე უნდა გამოიძიოს.

მოკლული ქართველების ცხედრები ქვიშაში ჩამარხეს

პირველი გვერდიდან

რომელიც ბოევიკებმა, ორი დაღუპული ქართველი პარტიზანის ცხედართან ერთად, გალში გადაიყვანეს, გალის რაიონის მილიციის წინ დაცხრილეს და, თავის თანამებრძოლებთან ერთად, იქვე ქვიშაში ჩამარხეს.

"თავიდან რუსები დაგვესხნენ თავს, მათ შორის აფხაზები არ იყვნენ. როგორც ჩანს, მოლაპარაკება ჰქონდათ ასეთი, რომ აფხაზი ბოევიკები მერე უნდა მოსულიყვნენ და ჩავეხოცეთ," - აცხადებენ დაჭრილები, რომლებიც სასწაულებრივად გადაურჩნენ სიკვდილს.

გუშინ, თითქმის მთელი დღის განმავლობაში ცხედრების გადმოცემის თაობაზე ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება მიმდინარეობდა. მოლაპარაკების შედეგად აფხაზურმა მხარემ სასტიკად მოკლული ქართველი პარტიზანების ნათესავებს, მშობლებსა და მეგობრებს გალში გადასვლისა და მათი ამოცნობის საშუალება მისცა.

როგორც გაირკვა, დაჭრილი და დაღუპული მებრძოლები ზურაბ სამუშიას პარტიზანული დაჯგუფების წევრები არიან.

დაჭრილი პარტიზანები "ტყის ძმების" თავკაცმა დავით შენგელიამ გუშინ საავადმყოფოში მოინახულა. როგორც მან ჩვენთან საუბრისას განაცხადა, დაჭრილი მურთაზ ქვაჩახია და ხვიჩა შენგელია 1998 წლამდე "ტყის ძმებში" იყვნენ. **"ჩვენი მოძრაობიდან ისინი გარკვეული მიზეზების გამო გავაგდეთ, მას შემდეგ რომელ დაჯგუფებაში იყვნენ და არიან, ნამდვილად არ ვიცი. დასაშვებია, აღარც ითვლებოდნენ პარტიზანებად,"** – გვითხრა დავით შენგელიამ.

ორი დღის წინ დაჭრილი და დაღუპული პარტიზანების თანამებრძოლები კი, ჩვენი ინფორმაციით, უკან დახევას არ აპირებენ. **"ჩვენ მეტს აღარ მოვითმენთ, როგორც საჭირო იქნება, ისე მოვიქცევით,"** – აცხადებენ სხვადასხვა პარტიზანულ დაჯგუფებებში გაერთიანებული მებრძოლები.

როგორც შევიტყვეთ, გუშინ, მთელი დღისა და ღამის განმავლობაში აფხაზი ბოევიკები ზურაბ სამუშიას საქმის გასარჩევად იბარებდნენ, მაგრამ იგი მოსალაპარაკებლად არ მისულა. აფხაზები მათ მიერ მოკლული სამი ქართველის – გოჩა ღვინჯილიას, ზაზა ყურაშვილისა და მალხაზ მელქანიას ცხედრების გადმოცემაზე გვიანობამდე უარს აცხადებდნენ.

ჩვენი ინფორმაციითვე, ხუმუშკურში მომხდარი შეტაკების დღეს, სოფელ ოტობაიაში დაუდგენელმა პირებმა, სავარაუდოდ, აფხაზმა ბოევიკებმა კიდევ ორი ქართველი –ირაკლი ცხონდია და გიზო გაბუნია ჯერ სასტიკად აწამეს და შემდეგ მოკლეს. როგორც გაირკვა, გაბუნიას ცოტა ხნის წინ სწორედ აფხაზმა ბოევიკებმა მოუკლეს მამა.

ოქროს მაძიებელთა ციებ-ცხელება B2

ოლივერ კანი და უცნაური ფანები B2

TV პროგრამა B4

„მალე დსთ-ს საპროტესტო დემარშისთვისაც ვერ გამოვიყენებთ"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მზად არ არიან. მართალია, რუსი მშვიდობისმყოფელების აფხაზეთში ყოფნა ძალიან დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ მაინც არ უნდა ვიჩქაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში აფხაზეთი კვლავ გაივსება დაქირავებული ბანდიტებით და შეიარაღებული გადამთიელებით... ამან, შესაძლოა, კვლავ გამოიწვიოს გალის რაიონში უდიდესი რისკის ფასად დაბრუნებული დევნილების დაწიოკება და გამოდევნა."

შევარდნაძის აზრით, დსთ-ს თავისი პოტენციალი არ ამოუწურავს. **"დსთ-ში არსებობს საკმაოდ წარმატებული სისტემები. მაგალითად, აფხაზეთთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები აბსოლუტურად შეესაბამება საქართველოს ინტერესებს. მართალია, ისინი არ სრულდება, მაგრამ იგივე შეიძლება ვთქვათ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებზეც. რა ვქნათ, მოვითხოვოთ გაეროს უშიშროების საბჭოს დაშლა?"**

პრეზიდენტის მოსაზრებას ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე. მას ამ ეტაპზე სამშვიდობო ძალების გაყვანა არადიპლომატიურ ნაბიჯად მიაჩნია, რომელმაც საქართველოს, შეიძლება, ზიანის მეტი არაფერი მოუტანოს. არეშიძე ფიქრობს, რომ სამშვიდობო მისიის როლში მყოფი რუსეთი მაინც ინარჩუნებს "დიპლომატიურ პოზას". **"თუ აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალები გავლენ, რუსეთი, რომლის მიზანია საქართველოს დასუსტება, დისკრედიტაცია და ხელისუფლების გადაყენება, გაუთავებელ პროვოკაციებს მოგვიწყობს და ყველაფერს "უკონტროლო ტერიტორიას" დააბრალებს."**

ვიდრე პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით არ გავძლიერდებით, არეშიძე დსთ-დან გასვლას და სამშვიდობოების გაყვანას ნაჩქარევად მიიჩნევს: **"დღეს არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა, ძლიერი ვერტიკალი აფხაზეთის საკითხის მოსაგვარებლად. მეტიც, ამ პრობლემაზე იმდენი უწყება (როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო) მუშაობს, რომ ისინი ერთმანეთს ხელს უშლიან."**

პარლამენტარ გიორგი ბარამიძის პოზიცია ამ საკითხებზე რადიკალურად განსხვავებულია. ბარამიძე შევარდნაძეს კანცელარიასთან შეკრებილი ხალხისთვის ერთი წლის წინათ მიცემულ პირობას უხსენებს, როცა პრეზიდენტი ირწმუნებოდა, რომ ჯარების გაყვანის საკითხს უმოკლეს დროში მოაგვარებდა. **"შეიძლება, ერთხელ ან ორჯერ მოატყუო ხალხი, მაგრამ, საბოლოოდ, ტყუილებით ფონს ვერ გახვალ. როგორ შეიძლება, ქვეყნის მტერი იყოს მშვიდობისმყოფელი! რაც უფრო მალე გაიყვანენ ჩვენი ქვეყნის მტერს საქართველოს ტერიტორიიდან, მით უფრო ნაკლები პრობლემები შეგვექმნება"**, - განუცხადა ბარამიძემ "24 საათს".

ბარამიძის აზრით, "დსთ არაფრის მაქნისია", ამიტომ ეს ორგანიზაცია უნდა გამოვიყენოთ, როგორც პროტესტის გამოხატვის საშუალება ბოლო წლებში განხორციელებული აგრესიის, განსაკუთრებით, 23 აგვისტოს დაბომბვის გამო. **"სწორედ ახლა არის დსთ-დან გასვლის დრო. თუ ცოტასაც დავაყოვნებთ, იგი საპროტესტო დემარშისთვისაც არ გამოგვადგება."**

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი სამშვიდობოებს საქართველოსთვის სერიოზულ დამაბრკოლებელ ძალად მიიჩნევს: **"კონფლიქტის მხარე შუამავლის როლს ვერასოდეს ითამაშებს. ეს თავის მოტყუებაა."**

ნადარეიშვილმა "24 საათს" განუცხადა, რომ 23 აგვისტოს დაბომბვის შემდეგ მაინც უნდა გვესწავლა ჭკუა. **"დაბომბვის შესახებ დსთ-ში განცხადებაც კი არ გაუკეთებიათ. ყოველივე ამის შემდეგ საკითხავია, რა გვესაქმება ჩვენ ამ ორგანიზაციაში?"**

საპარლამენტო ოპოზიციის პრინციპულობის ტესტი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამასობაში საქართველოს პრეზიდენტმა ვეტოს გამოყენების მუქარაც გაახმოვანა და ყველას ისიც შეახსენა, რომ კანონით პრეზიდენტს სახელმწიფო რწმუნებულის დანიშვნის უფლება აქვს.

შეთანხმების მონაწილე "ახლებიც" დღეს უკვე ამაზე საუბრობენ.

ფიქრია ჩიხრაძემ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ პრეზიდენტს ამის უფლება აქვს და ე.წ. გუბერნატორების თემის განხილვა პარლამენტში ძველისგან განსხვავებულ რაკურსში წარიმართება - ანუ დისკუსია გაიმართება არა თავად რწმუნებულების, არამედ სხვადასხვა უწყებების სამხარეო წარმომადგენლობების არსებობის შესახებ. თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ რწმუნებულების ის უფლებამოსილებანი, რომლებიც მათ უსასრულოდ გაიფართოვეს, ხელისუფლების უზურპაციის შედეგია.

საკითხის ამჟამინდელი ინიციატორები - "ტრადიციონალისტები" ასეთი საკანონმდებლო პრობლემების თავისებურად მოგვარებას გეგმავენ. მათ მომზადებული აქვთ სპეციალური კანონპროექტი აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ, რომელიც, არსებულისგან განსხვავებით, პრეზიდენტს რწმუნებულის დანიშვნის უფლებას ართმევს.

გუშინ "ტრადიციონალისტმა" ალეკო შალამბერიძემ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ კანონით პრეზიდენტს ცალკეულ საკითხებში წარმომადგენლის ყოლის უფლება კი აქვს, მაგრამ ის გაბერილი აპარატები, რომლებიც რეგიონალურ რწმუნებულებთან არის შექმნილი, ამ კანონის ფარგლებში საერთოდ არ ჯდება. მათი დაფინანსება კი სახელმწიფო ბიუჯეტში მაინც გათვალისწინებულია. მისი თქმით, კანონპროექტის მიღება გუბერნატორების და მათი აპარატების არსებობის პრობლემას ერთიანად მოხსნის.

ამ კანონპროექტის მიღებას 78 პარლამენტარის ხმა სჭირდება.

საგაზაფხულო სესიის მიწურულს ეს ხმები ოპოზიციას ჰქონდა, თუმცა, როგორც ვთქვით, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა...დღეს 78 ხმის შეგროვება პარლამენტში გაცილებით პრობლემატური იქნება, ვიდრე ორიოდე თვის წინათ.

ოპოზიციამ მაშინ მოულოდნელობის ეფექტი ვერ გამოიყენა და გუბერნატორებს "საპარლამენტო მუშაობის" ჩატარებისთვის დიდი დრო მისცა.

გუბერნატორების გაერთიანებული ძალა კი საქართველოში საკმაოდ წონადია საიმისოდ, რომ ოპოზიციის ნაწილის პრინციპულობა ნაცადი ხერხებით გადაწონოს.

თუ ამანაც არ გაჭრა, ისევ ძალაში რჩება პრეზიდენტის მუქარა ვეტოს გამოყენების შესახებ.

ამიტომ საკითხის განხილვა მართლაც იძენს სიმბოლურ ხასიათს, ერთია მხოლოდ - ეს თემა ისევ რჩება ოპოზიციის პრინციპულობის ტესტად.

შარაძე "სუფთაა", - ირწმუნება ოსაძის კომისია

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მიხეილ ოსაძის "ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ" გურამ შარაძეს გამამართლებელი "განაჩენი" გამოუტანა: გუშინდელ სხდომაზე ცალკეულ თანამდებობის პირთა ქმედებების კანონიერების შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ 15 ხმით ერთსულოვნად მოიწონა და მხარი დაუჭირა დასკვნის პროექტს, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირის დროს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან შარაძის საიდუმლო თანამშრომლობა არ დასტურდება.

ეს გადაწყვეტილება, რომელიც ოფიციალურად დღეს მოხსენდება პარლამენტის ბიუროს, საქართველოს უშიშროების სამინისტროსა და უშიშროების საბჭოს მასალებიდან გამომდინარეობს და იმ პიროვნებებისგან მიღებულ ინფორმაციებს ეყრდნობა, რომლებიც სხვადასხვა დროს ზემოთ დასახელებულ უწყებებს ხელმძღვანელობდნენ..

დროებითი კომისიის თავმჯდომარეს უსაფუძვლოდ მიაჩნია ეჭვი იმის თაობაზე, თითქოს სპეცსამსახურებს შეეძლოთ, არ გამოეჩინათ შარაძის აგენტობის დამადასტურებელი საბუთები. მისივე თქმით, აბსოლუტურად ყველა პიროვნებაზე, ვინც კი "კაგებესთან" თანამშრომლობდა, საქართველოს უშიშროების სამინისტროში სათანადო მასალები არსებობს. თუმცა, ოსაძე იქვე განმარტავს, რომ ეს ეს მასალები ვინმეს დასადანაშაულებლად საკმარისი არ არის - ამისთვის აუცილებელი იურიდიული მტკიცება ინახება არქივში, რომელიც რუსეთშია გატანილი.

"სხვას არც ველოდი - ალბათ, წარმოუდგენელიც კი იყო, რომ უშიშროების სამინისტრო და უშიშროების საბჭო შარაძის აგენტობის დამადასტურებელ დოკუმენტებს შემოგვთავაზებდა", - როგორც ჩანს, დასკვნის პროექტს დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრი, ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისთვის" თავმჯდომარე კოტე კემულარია სულაც არ გაუკვირვებია.

ისე, უცნაურია, რომ საპარლამენტო კომისიის წევრები არც კი გასაუბრებიან იმ მხარეს, რომელმაც შარაძეს სპეცსამსახურების აგენტობა დასდო ბრალად.

ამასთან დაკავშირებით, მთავარი "ბრალმდებელი" ლევან რამიშვილი აცხადებს, რომ ყველაფერი ეს ფარსია და კომისიის ვერდიქტი მისთვის სულაც არ არის მოულოდნელი, რადგან, **"ჯერ ერთი, მოქმედებს პრინციპი - ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს - პარლამენტარებს ერთმანეთთან კოლეგიალობა აკავშირებთ და მეორეც: კომისიის ხელმძღვანელი არის უშიშროების გენერალი, რომელსაც თავისი აგენტურის გაშიფვრისგან დაცვა თანამდებობრივად ევალება"**.

რომელ ვექტორზე მოძრაობს საქართველო: დასავლეთის თუ ჩრდილოეთის

ორი ვექტორი

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

■ ■ ■

რა პირობებია საჭირო იმისათვის, რომ არა მხოლოდ დაიბადოს, არამედ, სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდეს მოარული ხმები შესაძლო დესტაბილიზაციის შესახებ? ამისათვის, სულ მცირე, ორი კომპონენტია აუცილებელი: ხელისუფლება, რომელსაც მოსახლეობა არ ენდობა და ხელისუფლების მიღმა არსებული პოლიტიკური ძალები, რომლებსაც მოსახლეობა ენდობა.

დესტაბილიზაციის საფრთხეზე სიტემატური საუბარი დაიწყო სწორედ მაშინ, როდესაც ყველა სხვა ძალაზე მეტად გაძლიერებულმა პოლიტიკურმა ძალამ - პრეზიდენტის საპარლამენტო გუნდმა - მიიჩნია, რომ იგი უფრო მეტ ძალაუფლებას იმსახურებს, ვიდრე ფლობს. ეს მოხდა 1998 წლის ზაფხულში.

მაშინ რეფორმატორების ამბიცია სრულად თავსდებოდა პოლიტიკური ლოგიკის ფარგლებში: სახელმწიფოს დეკლარირებული კურსი პროდასავლური იყო; პრეზიდენტის გუნდის ახალგაზრდა ლიდერების ავტორიტეტი იზრდებოდა; ისინი საკუთარ თავში გრძნობდნენ სამოქმედო ენერგიას; მაგრამ ედუარდ შევარდნაძე ქვეყნის მართვის რეალურ ბერკეტებს, რატომღაც, მათთვის არ იმეტებდა. 1998 წლის ზაფხულში შეიქმნა სწორედ ის ვითარება, როდესაც ზურაბ ჟვანიამ და მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, რომ საკუთარი უფლებების მოსაპოვებლად ღია ბრძოლაზე უნდა გადასულიყვნენ. ჟვანიამ პარლამენტის საზაფხულო სესიის ბოლო სხდომაზე პრეზიდენტს საჯაროდ მოსთხოვა "ფრონტის წინა ხაზზე" გაშვება. ზაფხულის განმავლობაში ეს ზოგადი მოთხოვნა დაკონკრეტდა: ქვეყანას სჭირდება საკონსტიტუციო ცვლილებები და გუნდური პასუხისმგებლობის მინისტრთა კაბინეტი. პრემიერ-მინისტრის პოსტზე სავარაუდო კანდიდატურას მაშინ რეფორმატორები საგულდაგულოდ მალავდნენ, მაგრამ პოლიტიკური ლოგიკით და პრესის ვერსიით, გუნდური კაბინეტისთვის გუნდის ლიდერს – ზურაბ ჟვანიას უნდა ეხელმძღვანელა.

ედუარდ შევარდნაძემ, როგორც ჩანს, მშვენივრად იცოდა, რომ დესტაბილიზაციის შეფარული მუქარა იმ ეტაპზე სწორედ ორი კომპონენტისგან შედგებოდა: ნდობადაკარგული ხელისუფლებისგან და რეალური ხელისუფლების მიღმა დარჩენილი პოლიტიკური ძალებისგან. ამიტომ, საკუთარი გუნდის მოთხოვნებს მან თავისი გეგმა დაუპირისპირა: დაიწყო საუბარი საკონსტიტუციო ცვლილებებზე და არა გუნდურ, არამედ – კოალიციურ მინისტრთა კაბინეტზე.

ეს ძალიან ზუსტი სვლა აღმოჩნდა. ხელისუფლების საძებნელად ბათუმში გაკრეფილი პარტიები მაშინვე თბილისისკენ გამოეშურნენ. ზურაბ ჟვანია, თავის გუნდთან ერთად, ალყაში აღმოჩნდა: ერთი მხრივ, პრეზიდენტი (თავისი მთავრობით), მეორე მხრივ, პოლიტიკური პარტიები (რომლებსაც პრეზიდენტი მინისტრთა კაბინეტში შეყვანას დაჰპირდა). საბოლოოდ, საკონსტიტუციო ცვლილებები არ განხორციელდა, დესტაბილიზაციის მუქარამ აზრი დაკარგა (რაკი თანამშრომლობა, თითქოს, დაიწყო), ვითარება კი იმით განიმუხტა, რომ მთავრობაში შვიდი მინისტრი შეიცვალა, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრი. რეფორმატორებმა იმ ეტაპზე, პრინციპში, ვერაფერი მიიღეს.

ზუსტად იგივე სცენარი განმეორდა შარშან ზაფხულში, ოღონდ, გაცილებით მწვავე ფორმით. რეფორმატორები ისევ გუნდური პასუხისმგებლობის მინისტრთა კაბინეტს ითხოვდნენ, პრეზიდენტმა ისევ კოალიციურ კაბინეტზე დაიწყო საუბარი, საკონსტიტუციო ცვლილებები ისევ შევიდა პარლამენტში განსახილველად და ზაფხულის ბოლოს, როდესაც ზურაბ ჟვანიამ, მრავალი კომპრომისის ფასად, სასურველი 157 ხმა მოაგროვა, პრეზიდენტმა კენჭისყრა ისევ შეაჩერა. ამჯერად, ვითარების განმუხტვა გაცილებით მწვავე მოვლენების ფონზე მოხდა, ვიდრე სამი წლით ადრე: პარლამენტის თავმჯდომარემ ღია წერილით მიმართა პრეზიდენტს; პრეზიდენტი მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგა; დაიშალა საპარლამენტო უმრავლესობა; გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაში ხალხი ქუჩაში გამოვიდა სიტყვის თავისუფლების დასაცავად და პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვა; პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენა ჟვანიას: მე გადავდგები და ქვეყანა შენ მართეო (მუქარა გულისხმობდა, რომ ჟვანიას კავშირი ჰქონდა მეამბოხეებთან); ამ ულტიმატუმის შემდეგ გადადგა თავად პარლამენტის თავმჯდომარე და, ასე ვთქვათ, თან გაიყოლა პოლიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი.

ის პროცესი, რომელიც შარშან შემოგრომაზე განვითარდა, გამოწვეული იყო პრეზიდენტისა და მისი ყოფილი გუნდის ჭიდილით – ახალგაზრდები ისევ ითხოვდნენ ძალაუფლებას, პრეზიდენტი კი ისევ უარს ამბობდა მათთვის სერიოზული ბერკეტების გადაცემაზე. ბრძოლა მეორე ეტაპზეც ედუარდ შევარდნაძის გამარჯვებით დასრულდა: ახალგაზრდებმა ისევ ვერაფერი მიიღეს და, იმავდროულად, ისიც დაკარგეს, რაც ჰქონდათ.

■ ■ ■

ამის შემდეგ გაჩნდა რეალური პირობები იმისათვის, რომ დესტაბილიზაციის მუქარა დესტაბილიზაციის სერიოზულ მცდელობაში გადაზრდილიყო, რისი მოწმეც თითოეული ჩვენგანია მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში.

ჩნდება ახალი შეკითხვა: რა არის საჭირო იმისათვის, რომ დესტაბილიზაციის მუქარა ნამდვილ დესტაბილიზაციაში გადაიზარდოს? დესტაბილიზაციისთვის საჭიროა ოთხი კომპონენტი – ორი ძველი და ორიც ახალი: ხელისუფლება, რომელსაც საზოგადოება არ ენდობა; ხელისუფლების მიღმა დარჩენილი პოლიტიკური ძალები, რომელსაც საზოგადოება ენდობა; ხალხის მზაობა, რომ ქუჩაში გამოვიდეს პროტესტის ნიშნად; რუსეთის მცდელობა, რომ შეიცვალოს საქართველოს ხელისუფლება და, კონკრეტულად, საქართველოს პრეზიდენტი.

საზოგადოება არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად განსხვავდება ამჟამინდელი ვითარება შარშანდელისგან ან შარშანწინდელისგან. ჩვენ არ გვაქვს რეალური სოციოლოგიური მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად მზად არის რიგითი მოქალაქე ქუჩაში გამოსასვლელად და ჩვენთვის, აგრეთვე, ხელმიუწვდომელია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ფარულ ნაბიჯებს დგამს რუსეთი საქართველოში დესტაბილიზაციის მხარდასაჭერად.

მაგრამ ამ ინფორმაციას ფლობს საქართველოს პრეზიდენტი. სწორედ ედუარდ შევარდნაძის მიერ გადადგმული ნაბიჯების ანალიზი მიუთითებს, რომ ამჯერად დესტაბილიზაციის საფრთხე გაცილებით რეალურია, ვიდრე წინა წლებში.

■ ■ ■

დავიწყოთ იმით, რომ პრეზიდენტმა შეწყვიტა პოლიტიკურ ძალებთან დიალოგი. მართალია, პარლამენტში ყოველი შემთხვევისთვის ისევ დევს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, მაგრამ იგი განხილვასაც აღარ ექვემდებარება. ედუარდ შევარდნაძემ, ჩანს, იცის, რომ პოლიტიკოსებთან კონსულტაციები ამჯერად საქმეს აღარ უშველის, რადგან პროცესს უკვე ოთხი მხარე წარმართავს და არა – ორი. ამიტომ, პრეზიდენტი წყვეტს დიალოგს პოლიტიკურ ძალებთან და იწყებს მოძრაობას ახალი კომპონენტების მიმართულებით: ერთი მხრივ, იგი ცდილობს, დაარწმუნოს ქართული საზოგადოება, რომ არ ღირს ქუჩაში გამოსვლა, რადგან ხელისუფლებას რეზერვი არ ამოუწურავს; მეორე მხრივ, იგი ცდილობს, დაარწმუნოს რუსეთის ხელისუფლება, რომ ედუარდ შევარდნაძე მათთვის ჯერ კიდევ ყველაზე საიმედო პარტნიორია.

აი, სწორედ აქ იწყება საქართველოს პრეზიდენტის გადაუჭრელი პრობლემები...

■ ■ ■

იმისათვის, რომ ედუარდ შევარდნაძემ რუსეთის ხელისუფლება საკუთარ საიმედოობაში დაარწმუნოს, მას მოუხდება, რუსეთთან სერიოზულ დათმობებზე წასვლა.

როგორც კი პრეზიდენტი სერიოზულ დათმობებზე წავა რუსეთთან, იგი დაკარგავს ავტორიტეტის ბოლო მარცვლებს ქართული საზოგადოების, ევროპისა და ამერიკის თვალში.

არსებობს კიდევ ერთი სერიოზული წნეხი: ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება, რომელიც იმიტომ არ ზრუნავს ედუარდ შევარდნაძეზე, რომ საქართველოს პრეზიდენტმა სტრატეგიული დათმობებით მოალბოს რუსეთის პრეზიდენტის გული.

ამგვარი მსჯელობის თანახმად, შევარდნაძე ახლა იძულებულია, დაარწმუნოს რუსეთი თავის საჭიროებაში ისე, რომ არ გაინაწყენოს ამერიკის შეერთებული შტატები და არ დაკარგოს ავტორიტეტი ქართული საზოგადოების თვალში. სწორედ ამ მცდელობის დადასტურებაა ის რთული პროცესები, რომლებიც ბოლოხანს საქართველოში ვითარდება.

■ ■ ■

26 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მწვავე დადგენილება რუსეთის აგრესიის საპასუხო ღონისძიებების შესახებ. ეს დადგენილება აღმოჩნდა ერთგვარი ტესტი, რომელმაც მკაფიოდ წარმოაჩინა პრეზიდენტის პრობლემები. პარლამენტში პოლიტიკური სპექტრი სამ ნაწილად გაიყო: პროდასავლური ორიენტაციის პარტიები, რომლებმაც დაწერეს და მიიღეს ეს დადგენილება; პრორუსული ორიენტაციის პარტიები, რომლებმაც პროტესტის ნიშნად პარლამენტის სხდომა დატოვეს; პრეზიდენტის მხარდამჭერი ძალები, რომლებმაც დადგენილებას ხმა არ მისცეს, მაგრამ თავისი გადაწყვეტილება არათუ არ აუხსნიათ, არამედ - არც გაუმხელიათ.

ოფიციალურად, საქართველოს პრეზიდენტი სრულად გაემიჯნა საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას რუსეთისთვის მიუღებელი პირობების შესრულებას სთხოვს. ამ ნაბიჯის საპასუხოდ, პარლამენტის თავმჯდომარემ "ღამის კურიერის" პირდაპირ ეთერში ისაუბრა კრიზისზე, რომელიც, სავარაუდოდ, განვითარდება ქვეყანაში, თუკი პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება მეტი პატივისცემით არ მოეპყრობიან ერთმანეთის გადაწყვეტილებებს.

არაოფიციალურად კი ვრცელდება ვერსია, რომ პრეზიდენტს არ სურდა, მწვავე ანტირუსული დადგენილების ავტორობა ოპოზიციისთვის დაეთმო. დადგენილების მიღებამ პარლამენტის ავტორიტეტი გაზარდა, პრეზიდენტის ავტორიტეტი კი დააკნინა.

27 აგვისტოს, დადგენილების მიღების მეორე დღესვე, კარნეგის ფონდის ექსპერტმა, რუსმა პოლიტოლოგმა ალექსეი მალაშენკომ საინტერესო თვალსაზრისი გამოაქვეყნა "სტრანა.რუ"-სთვის მიცემულ ინტერვიუში: **"ვფიქრობ, საქართველოს პარლამენტი ნაწილობრივ გულწრფელია, ნაწილობრივ კი – საკუთარ თამაშშია ჩართული. ყველას ესმის, რომ შევარდნაძე რუსეთთან ურთიერთობას უკიდურესად ვერ გაამწვავებს და ვერც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოიყვანს ქვეყანას. მაგრამ, სწორედ ამგვარი პოზიციის გამო, პარლამენტს შევარდნაძე კუთხეში ჰყავს მიმწყვდეული. პრეზიდენტი რაც მეტს დაუთმობს რუსეთს, მით მეტად დაკარგავს ავტორიტეტს ქართული საზოგადოების თვალში. ავტორიტეტი კი ახლა შევარდნაძისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ერთი მხრივ, პრეზიდენტს არ უნდა, პარლამენტთან წააგოს ბრძოლა ქართული ნაციონალიზმის ფრონტზე. მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები სრულად უჭერს მხარს საქართველოს, მაგრამ შევარდნაძისგან ითხოვს რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას, ლამის, დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე. მაგრამ შევარდნაძე ამაზე ვერ წავა. მასზე რომ იყოს დამოკიდებული, საქართველოს პრეზიდენტი გაცილებით ფრთხილ დიპლომატიურ თამაშს ამჯობინებდა".**

რუსი პოლიტოლოგის ანალიზი ზუსტად ასახავს ედუარდ შევარდნაძის სამმხრივ პრობლემას: მას სურს, რუსეთის ნდობა ხელახლა მოიპოვოს, იმავდროულად, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა შეინარჩუნოს და, იმავდროულად, ქართული საზოგადოების თვალში ეროვნული ინტერესები დაიცვას.

რამდენად შესაძლებელია ამ სამი ამოცანის ერთდროულად გადაწყვეტა?

■ ■ ■

რუსეთის ხელისუფლების ერთი ნაწილი და პრორუსული ორიენტაციის ქართველი ლიდერები დაბეჯითებით ამკვიდრებენ აზრს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი სტრატეგიული მოკავშირეები არიან; და რომ საქართველოს პრობლემების გადაჭრა მხოლოდ ამ ორი ქვეყნის ერთობლივი ზრუნვით არის შესაძლებელი.

სამაგიეროდ, საქართველოს პრობლემების რუსეთთან ერთად მოგვარების სურვილს არ ამჟღავნებს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება. თეთრი სახლის პრესსამსახურის ბოლო განცხადებაში პირდაპირ არის დაგმობილი საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ.

თავის მხრივ, რუსი პოლიტოლოგები და, განსაკუთრებით, სამხედრო პირები ყოველდღე აქვეყნებენ ინტერვიუებს, სადაც შევარდნაძეს ამერიკის ინტერესების გამტარებელს უწოდებენ, ამერიკის მიზნად კი რუსეთის დაშლას და მისთვის კავკასიის ჩამოშორებას აცხადებენ.

ასე რომ, სულაც არ არის ადვილი ერთდროულად რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ქართული საზოგადოების გულის მოგება. უფრო მეტიც, ეს რომ საერთოდ შესაძლებელი ყოფილიყო, საქართველოს ბოლო წლებში ერთი პრობლემაც არ შეექმნებოდა და, კარგა ხანია, განვითარებულ და აყვავებულ ქვეყანაში ვიცხოვრებდით.

■ ■ ■

საკითხავი ისღა რჩება, შეუთავსებელ პრობლემებს შორის, კერძოდ, რომლის გადაჭრას მიანიჭებს უპირატესობას ედუარდ შევარდნაძე? პოლიტიკური ლოგიკის თანახმად, პრეზიდენტის არჩევანს საფუძვლად სწორედ დესტაბილიზაციის საფრთხე დაედება.

იმის გამო, რომ სრულიად ბუნდოვანია, ამჟამად რომელ ვექტორზე მოძრაობს საქართველოს პრეზიდენტი: დასავლურზე თუ ჩრდილოურზე – ნებისმიერ მოვლენას ორმაგი ახსნა ეძებნება და ეძლევა.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პანკისის ანტიკრიმინალური სამხედრო ოპერაცია.

რუსეთის პოლიტიკურ წრეებში მიაჩნიათ, რომ შევარდნაძემ პანკისში შინაგანი ჯარი იმისთვის შეიყვანა, რათა ჩაეშალა რეალური კონტრტერორისტული ოპერაცია, რომლის ჩატარებასაც რუსეთი ქართულ ძალებთან ერთად ითხოვდა.

ქართული საზოგადოება კი პანკისის ოპერაციას, პირიქით, პრორუსულ ჭრილში ხედავს: პრეზიდენტმა პანკისში შინაგანი ჯარი მაინცდამაინც ახლა იმის გამო შეიყვანა, რომ შეიარაღებული ჩეჩნების ბაზა რეალურად მოშალოს და პუტინს ასიამოვნოს. "იტერას" ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან ერთად, პანკისის ოპერაცია, შესაძლოა, ის ღონისძიება იყოს, რომელმაც რუსული წნეხი უნდა შეარბილოს ედუარდ შევარდნაძის სასარგებლოდ, განსაკუთრებით, შემოდგომაზე დაგეგმილი არეულობის წინ.

თუ ეს ასეა, საფიქრებელია, რომ შემდეგი ნაბიჯი იქნება საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი კრემლში. აქვე გავიხსენოთ, რომ 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როდესაც დღევანდელზე არანაკლებ პოპულარული იყო დესტაბილიზაციის და არჩევნების ჩაშლის თემა, შევარდნაძე პუტინს ეწვია და, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, პარლამენტისგან ისეთი ხელშეკრულების რატიფიცირებას მიაღწია, რომელიც 1994 წლიდან დაბლოკილი იყო, როგორც საქართველოსთვის მავნე ("საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე"). სხვა დათმობების შესახებ საზოგადოება ინფორმირებული არ ყოფილა. სამაგიეროდ, არჩევნები მშვიდად ჩატარდა და ედუარდ შევარდნაძემ პოსტი უპრობლემოდ შეინარჩუნა.

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, 29 აგვისტოს, სააგენტო "პრაიმ-ნიუსმა" გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცესპიკერმა ირინა ხაკამადამ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს პირისპირ შეხვედრა შესთავაზა. 30 აგვისტოს კი "სტრანა.რუ"-მ გამოაქვეყნა პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორის მოადგილის - ბორის მაკარენკოს – თვალსაზრისი, რომელიც მთლიანად უპირისპირდება წინა დღეების რუსული პრესის სულისკვეთებას: **"ჯერჯერობით, შევარდნაძე გაცილებით ნაკლებად ანტირუსული ლიდერია, ვიდრე ბევრი სხვა ქართველი პოლიტიკოსი. ახალი ქართული ხელისუფლება სტაბილური უნდა იყოს; შევარდნაძე იმიტომაც რჩება ხელისუფლებაში, რომ ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ მას შემცვლელი ვერ მოუძებნა. შევარდნაძის შემდეგ მოსული ნებისმიერი ახალი ლიდერი – შიდა სტაბილურობის დარღვევის საფრთხეა. ვიდრე ასეთი საფრთხე არსებობს, იმის იმედად ყოფნა, რომ ახალი ხელისუფლება რუსეთთან უფრო მეტ საერთოს გამოძებნის, ვიდრე ძველი – უსაფუძვლოა."**

■ ■ ■

როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტი, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის მხრიდან საფრთხის მოხსნას გეგმავს. რა დაუჯდება ქვეყანას ედუარდ შევარდნაძის მიმართ ნდობის აღდგენა და რამდენად წარმატებული აღმოჩნდება პრეზიდენტის მცდელობა, შემოდგომაზე გამოჩნდება. მანამდე კი უნდა ველოდოთ ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრას კრემლში; თანაც, ყურადღებით მივადევნოთ თვალი ამერიკის ოფიციალურ და არაოფიციალურ რეაქციას საქართველოს დათმობებზე რუსეთის მიმართ.

რა როლს შეასრულებენ ქართულ პოლიტიკაში საკუთრივ ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალები, სრულიად უცნობია. ედუარდ შევარდნაძის არჩევანი მიუთითებს, რომ ჩვენი ქვეყნის ბედი ისევ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმა წყდება. ქართული საზოგადოება ამ თვალსაზრისს ან დაადასტურებს, ან გააქარწყლებს; ან შეეგუება მორიგ იგნორირებას, ან გაიბრძოლებს საკუთარი ინტერესების დასაცავად, თუკი ედუარდ შევარდნაძის მიერ პოსტის შენარჩუნება იმაზე ძვირი დაუჯდება ქვეყანას, ვიდრე ეს რეალურად ღირს.

"კლუბი 22": სეზონი კახაბერ ზარნაძის სახელოსნომ გახსნა

ანა კორძაია-სამადაშვილი

კახაბერ ზარნაძე საკუთარ ნამუშევრებთან
ლევან ხერხეულიძის ფოტო

ერთი თვის განმავლობაში დაკეტილი "კლუბი 22-ის" მწვანე კარი კვლავ ფართოდ გაიღო. შემოდგომის პირველ დღეს ზანდუკელის ქუჩაზე მდებარე ძველი აგურის სახლის პირველ სართულზე უამრავი ადამიანი ირეოდა. განწყობილება თბილი იყო, შინაურული, და ნაკლებად მოგაგონებდათ გამოფენის გახსნას კომერციულ გალერეაში.

"კლუბ 22-ის" ნებისმიერი მოგება მის შემდგომ განვითარებას – გალერეის კეთილმოწყობას, ფოტოლაბორატორიის აღჭურვილობას და წიგნების შეძენას ხმარდება. მოგება, სამწუხაროდ, არცთუ დიდია: სამხატვრო მასალების, საავტორო სუვენირებისა და სამკაულის პაწაწინა მაღაზიის შემოსავალი, მხატვრების გაყიდული ნამუშევრების ნომინალური პროცენტი და ბარი, ცხადია, ყველაფერს ვერ წვდება – დენის გადასახადი, შენობის ქირა, პერსონალის და ადმინისტრაციის ხარჯები... სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს გალერეის მესვეურებმა ვერნისაჟებზე უფასო სასმელის აღკვეთაც: თუ დალევა გნებავთ, ბარში კოქტეილების დიდი არჩევანია და ლუდიც იყიდება.

მიუხედავად სირთულეებისა, "კლუბი 22" საუკეთესოდ აღწევს თავის მიზანს: მხატვრებსა და საზოგადოებას შეუძლიათ კომფორტულ გარემოში შეხვდნენ ერთმანეთს, გამოფენები მოაწყონ და დაათვალიერონ, ან ყავა მიირთვან ხოლმე.

ცხელი ზაფხული დამთავრდა და კლუბის მუდმივი სტუმრები კვლავ საინტერესო გამოფენის გახსნას დაესწრნენ. 1 სექტემბრიდან ზანდუკელის ქუჩაზე საგამოფენო დარბაზში თავის შემოქმედებას კახა ზარნაძის სახელოსნო წარმოადგენს. ნამუშევრების ავტორები კახა ზარნაძე, კობა აბრამიშვილი და დავით ბეგდარაშვილი არიან.

თავად კახაბერს, რომელიც 1966 წელს თბილისშია დაბადებული, ლითონის დამუშავება ბაბუებმა – შალვა და სილია ზარნაძეებმა ასწავლეს, გაანდეს რკინის ჭედვის საგვარეულო ცოდნა. პირველი ჯგუფი, რომელიც ქართული საბრძოლო ხელოვნების და იარაღის კვლევას ისახავდა მიზნად, მხატვარმა (კახას იაკობ ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელი და თბილისის სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული) 1985 წელს შექმნა. მისი თაოსნობით 1993-ში ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია ჩამოყალიბდა და მრავალი ექსპადიცია მოეწყო საქართველოს სხვადასხვა მხარეებში ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალის შესაგროვებლად.

ამჟამად კახა ქართული საბრძოლო ხელოვნების კვლევის ცენტრის, "ჯგიერაგის" ხელმძღვანელია, წიგნზე მუშაობს და თავის საყვარელ საქმიანობას დიდ პროპაგანდას უწევს. საქართველოში ლითონის დამუშავების ისტორიის ცალკეული ეპიზოდები, ალბათ, ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება, ამიტომ კახას წიგნიდან მოვიყვანთ ნაწყვეტს:

"არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ საქართველოში სპილენძის ცივი ჭედვა იწარმოება ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან, ხოლო II ათასწლეულის შუახანებში კი, შეიძლება ითქვას, გვაქვს საკმაოდ განვითარებული მეტალურგია. ქართველ ტომებს ამ საქმიანობის საკუთარი ბაზა გააჩნდათ... ძვ.წ. II ათასწლეულის შუა საუკუნეებში ქართველთა წინაპრები ლითონის გაწნეხვისთვის ჩარხს იყენებდნენ, ანუ ფურცლოვანი ლითონის დამუშავებას მბრუნავშპინდელიან საგანგებო დანადგარზე აწარმოებდნენ... სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ორ მხარეს ნალესი (განსხვავებული გეომეტრიით) ბრინჯაოს საჭრისიც, რომლის სიმაგრე 3-4-ჯერ აღემატება ოქროსა და ვერცხლის სიმაგრეს."

იმის შესახებ, თუ როგორი იყო ჩვენი წინაპრების მიერ დამუშავებული ლითონი, ვერაფერს გეტყვით, კახაბერ ზარნაძის სახელოსნოს წევრების ნამუშევარი კი ნამდვილად შესანიშნავია.

„ძველი სახლის„ ახალი მისია

აღადგენს თუ არა "გლობუსი" "ალექსანდროვის ბაღის" ტრადიციებს?

ვერა ნეფარიძე

რეჟისორი სანდრო მრევლიშვილი კიდევ ერთხელ შეეცადა "ალექსანდროვის ბაღში" (ახლა უკვე, "9 აპრილის სახელობის ბაღი") თეატრის დამკვიდრებას. 80-იან წლებში მას ბაღის სანახაობრივი ტრადიციის აღდგენაში ხელი შეუშალეს. ამჯერად, რეჟისორთან ერთად, საქმეში კულტურის სამინისტრო, მერია და "სოროსის" ფონდია ჩართული.

უკანონო თუ კანონიერი მშენებლობებით დღეს ვეღარავის გააკვირვებ. მნიშვნელობა აღარ აქვს ადგილს: კულტურული მემკვიდრეობა იქნება თუ საზოგადოებრივი თავშესაქცევი ადგილები - ყველგან ერთი და იგივე, საუნა-რესტორნები შენდება. აი, მშენებარე თეატრები, მგონი, მართლა იშვიათობაა თბილისში.

ოქტობრიდან "ალექსანდროვის" ბაღს თეატრალური სანახაობებით დატვირთავს თეატრი "გლობუსი" და ამით ნაწილობრივ აღდგება ბაღის საზოგადოებრივ-კულტურულ-გასართობი დანიშნულების ტრადიცია. "გადმოცემით ვიცით, რომ ამ ბაღში იმართებოდა სხვადასხვა სანახაობები: ყეენობა, ბერიკაობა და ა.შ. ახლა მისი დანიშნულება, რბილად რომ ითქვას, შეცვლილია. თეატრის მშენებლობით, იმედი გვაქვს, ბაღს ძველი ეშხი დაუბრუნდება, " – ამბობს თეატრ "გლობუსის" იდეის ავტორი, რეჟისორი სანდრო მრევლიშვილი.

რეჟისორმა "ალექსანდროვის" ბაღში თეატრალური კერის დაარსება 80-იან წლებშიც სცადა, მაგრამ იდეა მაშინდელი ადგილობრივი ხელისუფლებისათვის (დღევანდელისგან განსხვავებით), როგორც ჩანს, მიმზიდველი არ აღმოჩნდა. ამჯერად, რეჟისორთან ერთად, თეატრის მშენებლობაში საკუთარი წვლილი შეიტანა ქალაქის მერიამ, კულტურის სამინისტრომ და ფონდმა "ღია საზოგადოება - საქართველო"-მ.

"გლობუსს" კონკრეტული არქიტექტორი არ ჰყავს, მისი კონსტრუქცია ანტიკური და აღორძინების ხანის თეატრებიდან გადმოიღეს. თეატრი 100-120 მაყურებელს დაიტევს.

ჯერ-ჯერობით უცნობია თეატრის ძირითადი მიმართულება. ყოველ შემთხვევაში, სანდრო მრევლიშვილი თავს იკავებს იმ კონკრეტული რეჟისორების დასახელებისგან, ვინც, უახლოეს მომავალში, "გლობუსში" დადგამს წარმოდგენებს: "ამჟამად მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ თეატრის შენობის სანახავად ვინც კი მოდის, აღფრთოვანებული რჩება. იმედი მაქვს, ჩვენთან სიამოვნებით ითანამშრომლებენ".

თეატრი, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს სანდრო მრევლიშვილის პიესის მიხედვით, მისივე დადგმული "დაკარგული თეატრით" გაიხსნება. "დაკარგული თეატრი" შექსპირის ბიოგრაფიული წყაროების მიხედვით შექმნილი ნაწარმოებია. მუსიკას მისთვის ცნობილი კომპოზიტორი, დათო ევგენიძე დაწერს. მორიგი სპექტაკლი იქნება გიორგი ანტონოვის პიესის, ასევე მრევლიშვილისეული თეატრალური დადგმა.

ძირითად დასს "მეტეხის თეატრი - ძველი სახლიდან" მიიწვევენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თეატრში სხვა დასი ვერ იმუშავებს. ამ შემთხვევაში, "ძველი სახლი" ახალი თეატრის მხოლოდ მეპატრონე იქნება, რომელიც სრულ თავისუფლებას ჰპირდება დაინტერესებულ თეატრალურ რეჟისორებსა და მსახიობებს. ამ თეატრის თავისებურება მის კონსტრუქციაშია. "ვფიქრობ, ის დისტანცია და სივრცე, რომელიც ჩვენთან დაცულია მაყურებელსა და მსახიობებს შორის, ჩვენს რეჟისორებს მიიზიდავს," – ვარაუდობს სანდრო მრევლიშვილი, - ჩვენ მათ სრულ თავისუფლებას მივცემთ. აქ ყველას ექნება საშუალება დადგას ის, რაც მოესურვება".

მშენებლობის ავტორებს, თეატრის გარდა, ბაღში სხვა კულტურულ-გასართობი კერის- საგამოფენო სივრცის შექმნაც სურთ. თუმცა, ეს უფრო სამომავლო გეგმაა.

„ძმების გადასარჩენად„

გია გუგუშვილის გამოსამშვიდობებელი გამოფენა

საგამოფენო ექსპონატი

გალერეა "უნივერსში" გამოფენა გაიხსნა: გია გუგუშვილის (უმცროსის) 12 ახალი ფერწერული ნამუშევარი პირველად და უკანასკნელად წარდგება ქართველი ხელოვნების მოყვარულთა წინაშე. გამოფენა 10 დღე გაგრძელდება. ახალ ტილოებთან ერთად, მხატვრის უკვე ნაცნობი, ხიდან ამოჭრილი, ბრტყელი ფერწერული ქანდაკებების ხილვასაც შეძლებთ.

ამ გამოფენის ისტორია, ფაქტობრივად, 2002 წლის მარტის ბოლოს დაიწყო, როცა გია გუგუშვილს ფრანკფურტის აეროპორტში კონტრაბანდისტობა დააბრალეს და 37 საკუთარი ნახატი ჩამოართვეს. გია შერცხვენილი ჰყვება, რომ საბაჟოს წესებში გარკვეული არ იყო და არავინ აუხსნა გატანილი ნამუშევრების ღირებულების 7 პროცენტის გადახდის აუცილებლობა. როგორც კონტრაბანდისტს მას ემუქრებოდა ჯარიმა - 3000 ევრო და ნათელი პერსპექტივა იმისა, რომ ხუთი წლის განმავლობაში შენგენის ქვეყნებში ფეხს ვერ შეადგამდა.

გერმანიაში გაფრენა გიას გადაწყვეტილება იყო. მან ინტერნეტის მეშვეობით რამდენიმე ტილოს გაყიდვა შეძლო და სწორედ ამ ფულით გაემგზავრა ევროპაში "საშოვარზე", ნამუშევრების გასაყიდად და ახალი ტილოების შესაქმნელად. შედეგი გახლდათ ფერწერის "დაპატიმრება", სასამართლო უწყებებში საქმის გარჩევა, ამაოდ გადაყრილი გზის ფული და, ცხადია, მოულოდნელი გარემოებების გამო, აკიდებული ვალი.

მხატვარს გერმანიში მცხოვრებმა ქართველმა ხელოვანებმა, ნანა ჯორჯაძემ და ირაკლი კვირიკაძემ გაუმართეს ხელი. სწორედ მათი დახმარებით გაიცნო გია გუგუშვილმა საქართველოს ელჩი გერმანიაში, ბ-ნი კოტე გაბაშვილი და კულტურის ატაშე, ქ-ნი მაია ფანჯიკიძე. საელჩოს შუამდგომლობით მხატვარს კონტრაბანდისტის სამარცხვინო ბრალდება მოუხსნეს და თვენახევრის წინ დამთავრებული ალიაქოთის შედეგად, ნამუშევრების 1.500 ევროდ გამოსყიდვის ნება დართეს.

სწორედ მათ გამოსასყიდად გია სექტემბრის ბოლოს გერმანიაში მიემგზავრება, ამჯერად უკვე სათანადოდ გაფორმებული საბუთებით. იქ მისი 12 ახალი ნამუშევარი "დაპატიმრებული ძმების" გამოსახსნელად უნდა გაიყიდოს. თბილისური გამოფენის მიზანი მათი გაყიდვა არაა, უფრო სწორედ, აქ მათი გაყიდვის იმედი მხატვარს არა აქვს, უბრალოდ, უნდა, რომ "თავდადებული" ტილოები მისმა თანამემამულეებმაც იხილონ.

დიდება გონდოლებით ცოცხლდება

ვენეციური აღლუმი
REUTERS

ვენეცია გადატვირთული კულტურული გრაფიკით ცხოვრობს, მიმდინარეობს კინოფესტივალი ლიდოში, იქვეა ქალი მხატვრების გამოფენაც. თუმცა, ეს ყველაფერი ვენეციელებს ძველი ტრადიციების დაცვაში ხელს არ უშლის. კვირას, საერთაშორისო კინოფესტივალის პარალელურად, ვენეციამ რეგატების შთამბეჭდავ აღლუმსაც უმასპინძლა. უკვე წლებია, სექტემბრის პირველ კვირა დღეს ადგილობრივები ქალაქის დიდებულ წარსულს ანტიკური გონდოლების შეჯიბრით იხსენებენ. ასე რომ, რამდენიმე საათით, ყოველწლიურად ცოცხლდება ძველი ვენეცია – ქალაქის არხებს მოკლე და გრძელი, მოჩუქურთმებული და მოხატული ნავები იპყრობენ. გონდოლებს ძველ ვენეციურ კოსტიუმებში გამოწყობილი პროფესიონალები მართავენ. "გრანდ კანალს" ერთდროულად რამდენიმე ათეული გონდოლა მოუყვება და მათი დიდებული მსვლელობა ვენეციის ქუჩებში ერთგვარი რალით სრულდება. კვირას ამ ეროვნული სანახაობით კინოფესტივალზე ჩასულმა ვარსკვლავებმაც ისიამოვნეს.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ბენეფიციარი, რომელსაც თქვენ, შაუურებლები შეაღგენთ კითხვებს და მიიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეაგროვეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მილება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შედგენელისთვის:

[illegible]

შეკითხვის ტიპები:

პასუხის ტიპები:

[illegible]

ბანის ბიანარი

საფოსტო ინდექსი

ხანმოხანის ტელეფონის ნომერი

ბანის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

კარატე

მატარებლის ბაქნიდან ჩემპიონობამდე

გიგა გურასაშვილი

კარატეში ბოლოდროინდელმა წარმატებებმა, შეიძლება ითქვას, აღმოსავლური ორთაბრძოლები ქართული სპორტის ტრადიციულ სახეობად აქცია. ზოგადად, კარატეში არაერთი განშტოებაა. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი "კარატე-დოა", რომელსაც საქართველოში საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს. საერთოდ კი, კარატე - ეს არის ცოდნის, დისციპლინის და, რა თქმა უნდა, სპორტის ერთგვარი სინთეზი.

რამდენიმე დღის წინათ ლიუბეკმა (გერმანია) მსოფლიო თასს უმასპინძლა. მასში, 35 ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდებთან ერთად, ქართველი კარატისტებიც გამოდიოდნენ. ჩვენდა სასიხარულოდ, ლიუბეკში წარმატებით ვიასპარეზეთ. თანატოლებთან ჭიდილში ქართველმა სპორტსმენებმა მეტოქეები ერთმანეთის მიყოლებით ჩამოიშორეს გზიდან და უმთავრეს ტიტულსაც დაეუფლნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გუნდი, არაერთი სატრანსპორტო საშუალების გამოცვლის შემდეგ, მატარებლის ბაქნიდან პირდაპირ ასპარეზობებში გადაეშვნენ. ლიუბეკში შვიდი სპორტსმენით ვიყავით წარდგენილი, თუმცა, ოთხიც საკმარისი აღმოჩნდა წარმატებისთვის. პირველი დღე გუნდურ პირველობას დაეთმო. 14-17-წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში არც ერთი ბრძოლა არ წაგვიგია. ავსტრიის, სამხრეთ აფრიკისა და ფინალში მასპინძლების ძლევით გუნდურ კუმიტეში გავიმარჯვეთ. მეორე დღე კი პირად პირველობას დაეთმო. სამწუხაროდ, ასპარეზობას ორი სპორტსმენი გამოეთიშა, მაგრამ ორი ჩემპიონი მაინც გვყავს. ისე კი, ჩვენი მიზანი გუნდური პირველობა უფრო იყო. ჩვენი გუნდიდან ყველაზე უკეთ დათო აბრამიშვილმა და დათო ტყებუჩავამ იასპარეზეს. მათ გუნდურ პირველობაშიც გაიმარჯვეს და პირადშიც. გუნდურ კუმიტეში საუკეთესოები გახდნენ ირაკლი ტყებუჩავა და ლევან გორელაშვილი. როგორც საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ პრესკონფერენციაზე გვითხრა, მათი მიზანი იყო, ყოველდღიურ ცხოვრებაში რაღაც სასიამოვნო სიახლე შეეტანათ. მსოფლიო თასის მოგება კი, მისივე თქმით, ამის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. პრესკონფერენციას ესწრებოდა კარატე-დოს ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი გიორგი ბარამიძეც, რომელმაც თითოეულ სპორტსმენს პირადად მიულოცა გამარჯვება და მომავალში მხარდაჭერა აღუთქვა. სპორტსმენთა წარმატება არც სპორტის დეპარტამენტს დაუტოვებია უყურადღებოდ. "გამა ბანკმა", რომელთანაც კარატე-დოს ფედერაცია თანამშრომლობს, სპორტსმენებს საჩუქრები გადასცა.

მძლეოსნობა

ოქროს მაძიებელთა ციებ-ცხელება

გიგა გურასაშვილი

მარიონ ჯოუნსი

მარიონ ჯონსის სპრინტერული დუბლი, უილსონ კიპკეტერის 800 მეტრზე ასპარეზობა, 1500 მეტრზე ჰიშამ ელ გურუჯისა და სურეია აიჰანის პაექრობები ოქროს ლიგის ბოლოს წინა ეტაპის ყველაზე თვალსაჩინო ორთაბრძოლები გახლდათ.

თუმცა, ყველაზე მეტი ყურადღება მაინც იმათკენ იყო მიპყრობილი, ვინც ჯეკპოტის სახით დაწესებული 50 კილოგრამი ოქროსთვის აგრძელებდნენ ბრძოლას. ასეთთა შორის კი გურუჯი, ჯონსი, ანა გუევარა და ფელიქს სანჩესი არიან ოთხივე მათგანს, დაახლოებით, სამსაათნახევარი დასჭირდა იმისთვის, რომ ბრიუსელში, მეფე ბოდუინის სტადიონზე, შვიდ სერია ასპარეზობაში ზედიზედ მეექვსედ ეზეიმა ჩემპიონობა.

ოქროს მაძიებელთა შორის გამოცდა პირველმა ფელიქს სანჩესმა ჩააბარა. დომინიკელმა ვარსკვლავმა 400 მეტრზე თარჯრბენი, მართალია, მოიგო, მაგრამ, ციურიხის წინა ეტაპისგან განსხვავებით, ბრიუსელში დიდი ოფლის ღვრა დასჭირდა. დომინიკელი ფრანგი ევროპის ჩემპიონის სტეფან დიაგანასგან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. სტარტზე დიაგანა დაწინაურდა. ბოლო ბარიერის გადალახვამდე საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ სანჩესი ჯეკპოტისთვის ბრძოლას გამოეთიშებოდა. თუმცა, ბარიერის გადალახვის შემდეგ უკვე თავად გაიჭრა წინ და მოიგო.

ასეა თუ ისე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი სეზონი სანჩესისაა. ამასთან, ბრიუსელის ეტაპის მოგებით მან დაბადების დღეც აღნიშნა - დომინიკელი 25 წლის გახდა.

ჯეკპოტის მაძიებელთა შორის სარბიელზე მეორე გავიდა ამერიკელი მარიონ ჯონსი. მას გამარჯვებაში კინაღამ თანამემამულემ, კრისტი გაინესმა გადაუღობა გზა. 60 მეტრის შემდეგ ჯონსი და გაინესი ერთმანეთის მხარდამხარ მიინევდნენ ფინიშისკენ. დარჩენილ მეტრებზე ჯონსი დაწინაურდა. თუმცა, მასა და მეტოქეებს შორის სხვაობა თვალშისაცემი არ ყოფილა. ამასობაში უკრაინელმა ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკმაც გამოიღო ხელი და ახლა პირველ-მეორეობისთვის ეს უკანასკნელნი იბრძოდნენ. უკრაინელი ჯონსს ორი მეასედი წამით ჩამორჩა. ამერიკელმა მანძილი 10,88 წამში დაფარა. გაინესი კი მეოთხე აღმოჩნდა. უკრაინელისა და ამერიკელის ორთაბრძოლა ამით არ დასრულებულა. ერთსაათიანი შესვენების შემდეგ ორივე მათგანი 200 მეტრზე საპაექროდ გავიდა. წინა დისციპლინისგან განსხვავებით, ჯონსმა მეტოქეებს სტარტიდან 20 მეტრზევე მოუღო ბოლო. სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მეორედ გაიმარჯვა – 22,11. უკრაინელი ისევ მეორე იყო – 22,24.

ასევე წარმატებით იასპარეზა მექსიკელმა ანა გუევარამ. 400 მეტრზე გუევარამ ტრადიციას უღალატა და თავიდანვე დაწინაურდა. ჩვეულებისამებრ, მექსიკელი ამას ბოლო 100 მეტრზე აკეთებს ხოლმე. ბერლინის დასკვნით ეტაპზე ჯეკპოტის პრეტენდენტობისთვის გუევარას 49,69 წამი დასჭირდა.

1500 მეტრზე მაროკოელი ჰიშამ ელ გურუჯის გამარჯვებაში ეჭვი არავის შეპარვია. საკვირველი ის იყო, რომ ფინიშამდე დარჩენილ 100 მეტრზე მაროკოელ მსოფლიო რეკორდსმენს კენიელი ბერნარ ლაგატი მიჰყვებოდა გვერდით. მიუხედავად ამისა, გურუჯს არ გასჭირვებია თავის დაღწევა. ამრიგად, მაროკოელმა ოქროს ლიგის მეექვსე სერიაც მოიგო – 3.29,95.

დანიელმა უილსონ კიპკეტერმა კი, რომელმაც ახლახან იზეიმა ევროპის ჩემპიონობა, სეზონის საუკეთესო შედეგით – 1.24,74 გაიმარჯვა. ქალთა შორის იმავე დისციპლინაში თურქმა სურეია აიჰანმაც დაამტკიცა, რომ მიუნხენის ევროპის ჩემპიონატზე მას შემთხვევით არ გაუმარჯვია. აიჰანმა ეროვნული რეკორდიც დაამყარა და სეზონის საუკეთესო შედეგიც აჩვენა – 3.57,75.

ფეხბურთი

ბენიტესი ბრაზობს

ჯერ პრიმერა დივიზიონს სტარტი არ აუღია, ესპანეთის ჩემპიონ "ვალენსიას" კი უკვე პრობლემები შეექმნა. გუნდის თავკაცმა რაფაელ ბენიტესმა ვარჯიში დროზე ადრე დაამთავრა და გაცეცხლებული გაიქცა სტადიონიდან.

საქმე ის არის, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ფეხბურთელები საერთოდ არ არიან განწყობილნი სათამაშოდ. ამაოდ ბრაზობდა რაფა ბენიტესი, ამაოდ მოითხოვდა ფეხბურთელებისგან, სერიოზულად მოკიდებოდნენ საქმეს - ჩემპიონებმა მთელი ვარჯიში ხუმრობასა და სიცილ-ხარხარში ჩაატარეს და მწვრთნელი ისე გააღიზიანეს, რომ მან ტრენინგი შეწყვიტა და სანვრთნელი ბაზა გაცოფებულმა დატოვა. იმედია, "ვალენსიას" ეს ინციდენტი ძვირად არ დაუჯდება და "მალიორკასთან" მატჩის შემდეგაც იქნება სიცილის გუნებაზე.

ოლივერ კანი და უცნაური ფანები

ნინო პირველი

რა არ ხდება ამ ქვეყანაზე. ფეხბურთის მოედანს თუ ჩოგბურთის კორტებს მაყურებლები ხშირად საოცრად მშვიდად იყენებენ არადანიშნულებისამებრ და, სრულიად შიშვლები, ვითომც აქ არაფერიაო, ისე არხეინად გადაირბენენ გადაჭედილი ტრიბუნების წინ. ასეთი ექსცესები უფრო ხშირად დიდი ბრიტანეთის სტადიონებზე ხდება ხოლმე, გერმანულ პუბლიკას კი მსგავსი არაორდინარული სცენის ხილვის საშუალება იშვიათად ეძლევა. ამიტომაც გაამხიარულა ასე ძალიან ბრემენის "ვეზერ შტადიონზე" შეკრებილი საზოგადოება გუშინდელმა ინციდენტმა.

ბრემენში, გერმანიის თასის ადრეულ ეტაპზე, რომელზე გამოსვლაც დიდ გუნდებს, ჩვეულებრივ, ძალიან ეზარებათ ხოლმე, მიუნხენის "ბაიერნი" ენერგიულად ეთამაშებოდა ადგილობრივ "ვერდერს". ბავარიელებმა საშინლად დაჩაგრეს მასპინძლები. 65-ე წუთზე ჰიტცფელდის კლუბი 3:0-ს იგებდა და, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ შეხვედრა "ბაიერნის" დამაჯერებელი გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. მატჩზე მოსული 16 434 მაყურებლიდან ერთ-ერთს, როგორც ჩანს, მობეზრდა "ვერდერისა" და "ბაიერნის" უაზრო დუელი, რომელსაც მეტოქეები მხოლოდ ზრდილობის გამო განაგრძობდნენ და, გადაწყვიტა, საკუთარი თავიც და საზოგადოებაც გაერთო.

86-ე წუთზე მოედნის ცენტრში მყოფმა ბრაზილიელმა ჯოვანი ელბერმა გაოცებისგან პირი დააღო და რამდენჯერმე მოისრისა თვალები, ხომ არ მეჩვენებაო. არა, "ბაიერნის" სამხრეთამერიკელ ფორვარდს ნამდვილად არ ეჩვენებოდა – მეთოთხმეტე ბლოკიდან მოედანზე მორბოდა სრულიად შიშველი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მხოლოდ ფეხსაცმელი და მზის სათვალე ამშვენებდა. დედიშობილამ სრულიად გულგრილად ჩაურბინა ელბერს და კომპანიას და პირდაპირ ოლივერ კანს მიეჭრა. როგორც ჩანს, ის "ბაიერნის" ტოპმეკარის დიდი ფანი იყო და უნდოდა, პირადად ოლისთვის ეთქვა ორიოდე სიტყვა. კანი ამ სცენამ ძალიან გაართო. ის ხალისით გამოელაპარაკა ახალგაზრდა კაცს და მხარზე ხელიც კი მოუთათუნა, რამაც გულშემატკივარი ძალიან გაახარა და კმაყოფილი და ბედნიერი გაემართა თავისი ადგილისკენ. განა საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ პოლიცია უკვე მორბოდა მის დასაკავებლად? გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე პარაგრაფის მიხედვით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შიშველი სირბილი აკრძალული ყოფილა...

მიუნხენის "ბაიერნის" წარმომადგენლები უცნაური ფანის ახირებულმა საქციელმა ძალიან გაართო. აზრად არავის მოსვლია, გაეკიცხა გუნდის გულშემატკივარი კოდექსის ერთ-ერთი მუხლის დარღვევის გამო. "თუ ვინმეს ეს სიამოვნებს, რატომაც არა, ირბინოს, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. თუმცა, ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, მოედანზე შიშველი ლამაზი ქალი რომ გამოსულიყო", - სიცილით განაცხადა ბავარიული კლუბის მენეჯერმა ული ჰიონესმა.

თავად მატჩის პერიპეტიებს რაც შეეხება, რომელიც შეხვედრის დამთავრებისას უკვე აღარავის ახსოვდა - "ვეზერ შტადიონზე" გოლები გაიტანეს ელბერმა, პისარომ და ბალაკმა. სამწუხაროდ, ზე რობერტო ბრემენში ვერ ჩავიდა ტრავმის გამო, თორემ, ვინ იცის, იქნებ შიშველ ფანს შარვლით დახმარებოდა კიდეც...

იტალიელთა მეორე დანაკარგი

რონალდოს "რეალში" გადასვლით იტალიამ მხოლოდ "ფენომენი" როდი დაკარგა. ამიერიდან აპენინელი ტიფოზები ვეღარც ბრაზილიელი ფორვარდის მომხიბვლელ მეუღლეს იხილავენ იტალიის სტადიონებზე.

მილენა როდრიგესი, რომელიც აქამდე წარმატებით ასპარეზობდა ლომბარდიულ "ფიამამონცაში", ესპანეთში აპირებს გადასვლას თავის მეუღლესთან ერთად. მონცელებს ძალიან არ უნდოდათ მილენას დაკარგვა. კლუბის ხელმძღვანელობა რონალდოს ქერათმიან მეუღლეს სთავაზობდა, მადრიდში ევარჯიშა და მონცაში მხოლოდ უქმეებზე ჩასულიყო, მაგრამ მილენამ იტალიაში დარჩენა აღარ ისურვა.

მილენას ესპანური კარიერა, საკარაუდოდ, მადრიდში გაგრძელდება. მისი გადაბირებით ორი დედაქალაქური კლუბი – "ატლეტიკო" და "რაიო ვალეკანოა" დაინტერესებული. განსაკუთრებით აქტიურობს "რაიო", რომელიც დარწმუნებულია, რომ სულ მალე "ფენომენის" მეუღლე მისი მაისურით იასპარეზებს.

ფლო „სანდერლენდში„

ნორვეგიელი ფორვარდი ტორე ანდრე ფლო კვლავაც განაგრძობს მოგზაურობას დიდი ბრიტანეთის კლუბებში. "ჩელსისა" და "გლაზგო რეინჯერსის" შემდეგ ახმახი ნორვეგიელი პრემიერ ლიგის პროვინციულ კლუბ "სანდერლენდში" გადავიდა.

ინგლისელებმა ფლო 10,5 მილიონ ევროდ იყიდეს შოტლანდიელებისგან. ნორვეგიელი ფორვარდის ტრანსფერთან დაკავშირებული ყველა საკითხი უკვე მოგვარებულია და ფლოს შესაძლებლობა ექნება, თავისი გოლეადორული ნიჭი პირველსავე მატჩში გამოავლინოს, როცა "სანდერლენდი" საკუთარ მოედანზე "მანჩესტერ იუნაიტედს" შეხვდება.

პირველი მოულოდნელობა

ბერლინის "ჰერტა" ბოლო ორი წლის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ ფლობდა ლიგის თასს. ჰოლანდიელი მწვრთნელი ჰუუბ სტივენსი კი, გელზენკირხენულ "შალკესთან" ერთად, ასევე ორჯერ გახდა გერმანიის თასის გამარჯვებული. სტივენსს წლეულს "ჰერტასთანაც" სურდა თასის აღმართვა, მაგრამ...

გერმანიის თასის ტურნირზე პირველი სენსაცია დაფიქსირდა. ბერლინის "ჰერტამ" ძირითად დროში ვერ დაამარცხა ჩირდილოეთის რეგიონალლიგის აუტსაიდერი "კილი" და საქმე მივიდა პენალტების სერიამდე, სადაც უფრო წარმატებული შლეზვიგ-ჰოლშტაინელი ფეხბურთელები აღმოჩნდნენ - მათ "ჰერტა" პოკალტურნირიდან გამოაგდეს.

მილანური ამბები

ნინო პირველი

მოხდა ისე, რომ ბოლო პერიოდში მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს ცენტრად იქცა ლომბარდიის დედაქალაქი მილანი, სადაც ახალი სეზონის რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი შედგა. ზაფხულის სატრანსფერო სეზონიც სწორედ მილანში დასრულდა. მისი უკანასკნელი აკორდი ბრაზილიელი რონალდოს "ინტერიდან" "რეალში" გადასვლა იყო.

გასულ სეზონში იტალიელი ტიფოზები "ინტერის" ხელახალი დაბადების მომსწრენი გახდნენ. ეს "რისორჯიმენტო", რომელიც მილანურ კლუბში არგენტინელი სპეციალისტის, ექტორ რაულ კუპერის მისვლასთან იყო დაკავშირებული, 2002 წლის 5 მაისს სრული კრახით დასრულდა – სეზონის უკანსკნელ მატჩში "ინტერნაციონალე" რომის ოლიმპიურ სტადიონზე "ლაციოსთან" დამარცხდა და "სკუდეტო" ტურინის "იუვენტუსმა" მოიპოვა.

გაოგნებულმა მასიმო მორატიმ, რომელსაც მატჩის შემდეგ დანა პირს არ უხსნიდა, მაინც მოიკრიბა ძალ-ღონე და გაწბილებულ ტიფოზებს დაპირდა, "ინტერი" თავის სიტყვას მომავალ სეზონში იტყვისო. კუპერიც გაჩემპიონებას აპირებდა და მორატის დაჟინებით სთხოვდა, სუპერგუნდის შესაქმნელად "ლაციოსგან" ნესტა იყიდეო, მაგრამ...

სანამ "ინტერი" სერია ა-ს ედგა სათავეში და, საკუთარი წარმატებით თავბრუდახვეული, თავმომწონედ ყელყელაობდა, მისი კუზენი "მილანი" მთელი სეზონის განმავლობაში კრიზისს ებრძოდა. ბერლუსკონის გუნდმა პირველ წრეში "ინტერს" კი მოუგო, მაგრამ შემდეგ "ტორინოსთან" დამარცხდა და ადრიანო გალიანიმ თურქი მწვრთნელი ფათიჰ თერიმი მაშინვე დაითხოვა გუნდიდან. მილანური კლუბის ახალი თავკაცი კარლო ანჩელოტი ბევრს ეწამა, სანამ "მილანთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ სანატრელ მეოთხე ადგილს მოიპოვებდა. სეზონის ბოლოს ადრიანო გალიანიმაც პირობა დადო ტიფოზების წინაშე – ასეთი რთული პერიოდი "მილანს" მეტი აღარ ექნებაო.

მასიმო მორატისგან განსხვავებით, ადრიანო გალიანიმ ბოლომდე იბრძოლა "მილანის" გასაძლიერებლად. "ინტერს" ცხვირწინ აართვა იტალიის საუკეთესო მცველი ალესანდრო ნესტა, რომლის შესაძენადაც მორატი მთელი ზაფხულის განმავლობაში "ჩალიჩობდა." თითქმის უფასოდ ჩაიგდო ხელში დანიელი იონ დალ ტომასონი და ბრაზილიელი მსოფლიო ჩემპიონი რივალდო. "ინტერმა" კი, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერც ნესტა დაისაკუთრა და ვერც პარმელი დი ვაიო, რომელიც ტურინის "იუვენტუსში" გადავიდა. შეძენას ვინ ჩივის, კუპერის გუნდმა მსოფლიოს უძვირფასესი ფორვარდი დაკარგა. ყველასთვის მოულოდნელად, ბრაზილიელი რონალდო მადრიდის "რეალში" წავიდა და "ინტერს" სასწრაფოდ მოუხდა მისი შემცვლელის პოვნა. მილანელებმა "ლაციოსგან" არგენტინელი ერნან კრესპო იყიდეს და, როცა ყველას ეგონა, "ინტერის" პრობლემებს ბოლო მოეღოო, კრისტიან ვიერიმ სწორედ მაშინ დაიწყო ჭირვეულობა.

რა უნდა ვიერის? იტალიის ყველაზე ძვირად ღირებულ ფეხბურთელს, თურმე ნუ იტყვით და, კრესპოს გამილანელება არ მოსწონებია. რომიდან ჩასულმა არგენტინელმა მაშინვე რონალდოს 9 ნომერი მაისურა დაისაკუთრა და ტიფოზებს შეჰფიცა, ეფექტურ გოლებს არ მოგაკლებთო. კრესპო, გასაგებ მიზეზთა გამო, სწრაფად მოექცა საერთო ყურადღების ცენტრში და ლამის "ინტერის" ლიდერადაც კი აღიარეს, რაც ვიერის განსაკუთრებით მოხვდა გულზე. კრესპო ხალისით საუბრობს მომავალზე, უხარია ვიერისთან ერთად თამაში, ერთი სული აქვს, როდის გაიმართება დერბი "სან-სიროზე", რათა ყოფილ თანაკლუბელსა და კაპიტანს, ამჯერად კი მონინააღმდეგე ალესანდრო ნესტას, შეხვდეს... მოკლედ, არგენტინელს ბავშვივით უხარია, კრისტიან ვიერი კი საავდრო ღრუბელივით იღუშება. რაც უნდა გასაოცარი იყოს, ვიერის რეზერვისტობისა ეშინია. კალონი, რეკობა, ვენტოლა, კრესპო... მოხვდება კი ვიერი მუდამ ძირითად შემადგენლობაში? სწორედ ამიტომ "ბობო" გუნდიდან წასვლით იმუქრება.

"მილანი" კი მშვიდად მიემართება დიდებისკენ. გუშინ "ბიძაშვილებმა" გამართეს ამხანაგური მატჩი, რომელიც გალიანის გუნდის გამარჯვებით დასრულდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი დანიელმა ტომასონმა გაიტანა და "ინტერს" პირველი ადრეული მარცხი აგემა. ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრილმა "მილანმა" უკვე დაივიწყა ის მტანჯველი ბრძოლა, რაც მას ჩეხეთში, ლიბერეცის "სლოვენის" წინააღმდეგ გადახდა. ანჩელოტი ახალი სეზონისთვის ემზადება და სულაც არ აშინებს ის, რომ ჩემპიონთა ლიგის მწვერვალების დასაპყრობად "დეპორტივოს", "ბაიერნისა" და "ლანსის" ბარიერის დაძლევა მოუწევს. მერე რა, რომ ბრაზილიელმა როკე ჟუნიორმა "სლოვენთან" გამართულ ტრილერში მხრის ტრავმა მიიღო და კარგა ხანს ვეღარ გამოვა მოედანზე. მერე რა, რომ პირველ მეკარე კრისტიან აბიატის ჯერ კიდევ არ შეუძლია თამაში და არც ანდრეი შევჩენკოა ჩვეულ ფორმაში. "მილანს" არაფრის ეშინია და, "ინტერთან", "იუვენტუსთან" და "რომასთან" ერთად, იტალიური ფეხბურთის შელახული საერთაშორისო პრესტიჟის აღდგენას აპირებს.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ, მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი. ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათი, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავსაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქოვენის "ომთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ქუჩაში მორთმეული ხელოვნება



მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტილო "ხე" REUTERS

კვირას ბრიტანეთში გრანდიოზული ზომის ნახატის პრეზენტაცია მოეწყო. ახალგაზრდა მხატვარმა ადამ ბოლმა თავისი "ხე" ლონდონის სოჰოში, გოლდენ სკვერზე აღმართა. ჩანაფიქრის განხორციელებას ბოლმა 35 ფუნჯი და 11 ლიტრი საღებავი შეალია, საბოლოოდ, 704 კვ.ფუტი ზომის ტილოზე მართლაც შეძლო, დაეხატა უზარმაზარტოტებიანი მუხა, რომელიც მასშტაბებით ნამდვილს ჰგავს. მხატვარი შთაგონებით მშობლიური სასექსის ხეებმა აღავსო. პროექტის დაგეგმვას მან ორი წელი შეალია, ტილოზე მუშაობა კი სამ თვეში დაასრულა. ნახატი, რომელიც ლონდონის ცენტრში, თვალსაჩინო ადგილზეა მოთავსებული, ბუნებრივია, გამვლელების დიდ ინტერესს იწვევს. თუმცა, ზოგი მხოლოდ ნამუშევრის შეთვალიერებით არ კმაყოფილდება და პრეტენზიულად სვამს კითხვას: "ვის რაში სჭირდება ეს ხე? რა ესთეტიური დატვირთვით გამოირჩევა იგი?" ასეთი პრეტენზიული ლონდონელებისთვის ბოლს პასუხი მზად აქვს: "მსურს, იმ ადამიანებს, რომლებიც გალერეებში არ დადიან, ხელოვნების ნახვის შანსი მივცე".

რამდენად აღიქვამენ ბოლის მუხას ლონდონელები ხელოვნებად სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ მხატვრის მიზანი კეთილშობილურია. მისი "ხე" სოჰოში 18 სექტემბრამდე დარჩება. ტილო წყალგაუმტარია, ასე რომ, ის იოლად გაუძლებს ლონდონურ წვიმასა და ნისლს. გრანდიოზული მუხა უმალ შერაცხეს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ტილოდ. ის 975სმ სიგრძისა და 670სმ. სიგანის გახლავთ. ნამუშევარი, ძირითადად, ლურჯ, იასამნისფერი და ყავისფერ ტონებშია შესრულებული და მართლაც ეფექტურია. "ნახატზე მუშაობამ ძალიან დამღალა. როცა დავასრულე, მეგონა, უკვე ასი წლის ვიყავი. თუმცა, ეს ჩემთვის ფანტასტიკური თავგადასავალიც იყო. ძალიან მაინტერესებს, რა რეაქცია ექნება ხალხს", - აცხადებს პროექტის ავტორი და იმედი აქვს, რომ ლონდონელები ხელოვნებას ახლებურად შეხედავენ.

ფეხბურთი როკით იწყება

დადგა სექტემბერი და შარშანდელი ტერაქტების თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა. გუშინ, 11 სექტემბრის ეგიდით ,კიდევ ერთმა მომღერალმა, ბონ ჯოვიმ ისაუბრა. მისი თქმით, ჯგუფის ნიუ იორკული კონცერტი, რომელიც ხუთშაბათს არის დაგეგმილი, 11 სექტემბრის წლისთავს მიეძღვნება. კონცერტი მანჰეტენზე, ტაიმს სკვერში და სტადიონზე გაიმართება, მასზე დასწრებას ბონ ჯოვის მუსიკის თაყვანისმცემლები ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე შეძლებენ. ტერაქტების გარდა, როკ ჯგუფის გამოსვლას კიდევ ერთი სარჩული ექნება – ის ოფიციალურად გახსნის ამერიკის ნაციონალური ფეხბურთის ლიგის ახალ სეზონსაც. ბონ ჯოვი შეასრულებს სიმღერებს ახალი ალბომიდან Bounce, რომელიც, ნანილობრივ, სნორედ შარშანდელი სექტემბრის მოვლენების გავლენით დაიწერა. 2001 წლის 11 სექტემბერს ბონ ჯოვი ნიუ ჯერსის ქალაქ მიდლტონის პლაჟზე იყო. სწორედ სანაპიროდან დაინახა მანჰეტენზე ავარდნილი უზარმაზარი კვამლი. "პატარა რომ ვიყავი, სამხედრო სამსახურს ყოველთვის დავცინოდი. ვხუმრობდი, როცა მტერი ესბარის პარკს მოადგება, დამირეკეთ მეთქი... 22 წლის შემდეგ მგონია, რომ მტერი მართლაც კარს მოგვადგა". როგორც ჩანს, ბონ ჯოვი მტრის გაფანტვის საქმეში საკუთარი წვლილის შეტანას აპირებს.

ჭილდოვდებიან დიზაინერები

ბრიტანეთში სათანადოდ აფასებენ ხელოვნების თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენლებს. ამაზე ჯერვუდის, ტერნერის, ბუკერის და სტირლინგის პრიზებიც მეტყველებს, სხვა მრავალ მნიშვნელოვან ჯილდოსთან ერთად. ერთადერთი, ვინც ბრიტანეთში, ასე თუ ისე, დაჩაგრულად გრძნობს თავს, დიზაინერია (ეს მაშინ, როცა ინგლისელ მოდელიერებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღიარებენ). სწორედ ამ შეცდომის გამოსწორებას შეეცადა ლონდონის დიზაინის მუზეუმი, რომელმაც გუშინ დიზაინერებისთვის ნაციონალური ჯილდო დააწესა. წლის დიზაინერის სტატუსის მფლობელი ამიერიდან 25 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს. კონკურსში მონაწილეობა შეეძლებათ ბრიტანეთში დაბადებულ ან უბრალოდ, ბრიტანეთში მოღვაწე დიზაინერებს, რომელთაც რადიკალურად შეცვალეს ავტომობილების, საოფისე ავეჯის, ტელეფონების დიზაინი და ე.ი. გააუმჯობესეს ცხოვრების ხარისხი. ჟიური, რომელშიც მოდელიერი პოლ სმიტი და დიზაინერი მარკ ნიუსონი შედიან, იანვრისთვის ოთხ გამარჯვებულ ნომინანტს გამოავლენს, მოეწყობა მათი ნამუშევრების გამოფენაც, ხოლო ერთ გამარჯვებულს მომავალი წლის ივნისში დაასახელებენ.

ᲥᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



თარაზულად: 3. საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი; 4. ესპანელი კინორეჟისორი; 6. სრული, ერთბაშად დამარცხება, გაკოტრება; 7. ტექსტის ლიტერატურულად დამუშავება, დასაბეჭდად მომზადება; 8. პერსონაჟი ჯ. ვერდის ოპერიდან "აიდა"; 10. ფილმი რ. კაპურის მონაწილეობით; 11. მომღერალთა ჯგუფი; 12. საწერ მასალად დამუშავებული ტყავი; 14. მაღალი რანგის მოხელე ქართველი მეფეების კარზე; 15. ფილმი მედეა ჩახავას მონაწილეობით; 16. წერილობითი თხოვნა, საჩივარი; 26. მე-18 საუკუნის იტალიელი მწერალი, ცნობილი ავანტიურისტი; 27. საერთო წესიდან გადახვევა; 28. პლანეტის თანამგზავრი; 33. თმების ხელოვნურად მოცილება; 39. პერსონაჟი უ. შექსპირის "ოტელოდან"; 41. პერსონაჟი მ. ლერმონტოვის რომანიდან "ჩვენი დროის გმირი"; 42. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 43. თეატრისა და კინოს ქართველი მსახიობი; 44. ქართველი კინომსახიობი ქალი; 45. ამერიკელი კინომსახიობი; 46. თბილისის ძველი უბანი; 47. ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნებისა და მშვენიერების შესახებ; 48. წარმოდგენისათვის განკუთვნილი მოედანი თეატრში; 49. საულიერო პირი ქრისტიანულ ეკლესიაში; 50. ცეკვის მფარველი მუზა ბერძნულ მითოლოგიაში.

შვეულად: 1. მე-16-17 საუკუნეების იტალიელი ფერმწერი; 2. ბიბლიის ნაწილი; 3. ხელახლა ქაღლდად გადასამუშავებელი უვარგისი წიგნები და ქაღალდი; 5. ქართველი მწერალი; 7. ფილმი ელიზაბეტ ტეილორისა და ვიტორიო გასმანის მონაწილეობით; 9. შტატი აშშ-ს სამხრეთში; 11. ფილმი რობერტ დე ნიროსა და შერონ სტოუნის მონაწილეობით; 13. სამონასტრო ანსამბლი თელავის მახლობლად; 15. აღმოსავლური ტკბილეული; 17. სიმებიანი მუსიკალური საკრავი; 20. გათავისუფლებული ყმა; 21. ქათმების ოჯახის მომცრო ფრინველი; 22. ფილმი მადონას მონაწილეობით; 23. კუურორტი რუსეთში, შავი ზღვის სანაპიროზე; 24. თანმხლებ პირთა ჯგუფი; 25. ელვისებური პარტია ჭადრაკში; 29. თეატრისა და კინოს გამოჩენილი ქართველი მსახიობი ქალი; 30. ძვირფასი ქვებითა და ოქროთი მდიდარი მითიური ქვეყანა; 31. რაინდი შუა საუკუნეების ესპანეთში; 32. იაპონის ფულადი ერთეული; 33. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, ნაპოლეონის გადასახლების ადგილი; 34. ქართული ტელეკომპანია; 35. რუსი პოეტი ქალი; 36. ქვეითი ჯარის სახელწოდება უცხოეთის ზოგიერთ ქვეყანაში; 40. ქირურგიული მოქმედება; 41. მკვრივი, წყალგაუვალი ქსოვილი.

დიაგონალურად: 3-18. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სტადიონი; 19-5. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 49-37. ბიოლოგიის დარგი; 38-51. იაპონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

OTO FOOX
& GLOBAL VENTURES (USA)

ოტო ფუქსისა და
გლობალ ვენჩერსის (აშშ)

საერთაშორისო
განათლების პროგრამა
გთავაზობთ

ინგლისური ენის

შესწავლას
შემდგომი
სტაჟირებით

ამერიკასა და ინგლისში

რუსთაველის 36
ტელ: 99-72-04

TV პროგრამა 3 სექტემბერი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 დილა მგვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გერმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "ოცნების კოშკები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.30 პერეპროსტოკი
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 დრაკონთა მომთვინიერებელი
18.55 სერიალი "ტალ ღის ქიმზე"
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
00.00 ჩვენი ეზო
00.20 მხ.ფილმი "მაიმუნის ძვალი".

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 მხ. ფილმი "წყლის წონა"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი "ოჰ, ეს პაპა"
16.55 სერიალი "ქილის წინ"
17.15 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
17.40 დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით, ბავშვებო"
18.00 ვესტნიკი
18.20 გასტი-გუგუ
18.40 "და არს მუსიკა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 ლიტ. გადაცემა "სათავეებთან"
23.00 "დღის გოლოს"
23.40 ტელესერიალი "ქილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "დუეინი"

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ახოლოდ შენთვის"
20.30 დოკ. ფ. „ჯუჯების საოცარი ისტორია"
21.30 პარალელი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი „მამაცი"

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 "სალონი"
14.00 მუსიკალური პაუზა
18.30 სერიალი "გუდულაის დაგრუნება", (მე-4 სერია)
19.30 მუსიკალური ტაი-მაუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00, 00.15 მხ.ფ. "ბანგსტერები"

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "ლურჯი"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.15 გურთი და მოედანი
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ.ფ. "აფიორა"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "პრინცესა კარდინიანის საიდუმლო"
22.30 ძველი კინო "თავგადასავალი"
00.50 ღამის ფილმი

პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 "ტორონტა"
11.30 "მო" განმეორებით
13.00 მუსიკალური ათეული განმეორება
13.45 მხ. ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "ფიშველი პისტოლეტი"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 ჩაძირობანა
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "მონსტრების მეჯლისი".
01.40 "ღამური" მხ.ფ. "საფიფი ტვინები".
03.10 ნონ-სტოპი

მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "მეჯრაზადი" (მე-40 სერია)
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" (მე-40 სერია)
10.15, 16.05, 18.45, 19.35, 21.10, 22.00, 23.50, 00.20 მუსიკა
11.30 მხ. ფილმი "ურტყი ძალაში"
13.30 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
15.00, 19.00 დოკ. ფ. "ფრანგი მხატვრები - პალიტრა"
14.45 მხ. ფილმი "საიმედო დაცვა"
16.10 ქართ. მხ. ფილმი "ეი მაესტრო"
17.45 მულტფილმი "მეჯრაზადი" (41-ე სერია)
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" (41-ე სერია)
20.00 "ევროპის სტადიონებზე"
21.20 მულტფილმი "ბიბ სვიჩი საშველად მიიჩქარის"
22.15 მხ.ფ. "9 იარდი"
00.40 მხ.ფ. "მგზნებარე გონება".

აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ტელეგადაცემათა ციკლი "თბილისი" "ჩემი სამშობლო"
10.00 კომედია "სტიუარტ ლიტლი"
11.20 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ვესთერნი "წითელი ეშმაკი"
14.00 ისტორიული ფილმი "ნაპოლეონი" 2 ნაწილი
15.30 მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ბანკი"
16.15 მულტფილმების პროგრამა
17.00 მხატვრული ფილმი "ოცეული"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30 დოკ. ფილმი "განრისხებული პლანეტა"
20.25 ქართული მხატვრული ფილმი "ამხანაგ სტალინის მოგზაურობა აფრიკაში"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "რა არ ხდება"
23.15 დოკუმენტური ფილმი "მტაცებლები"
01.05 თრილერი "სასოწარკვეთის საათები"
03.30 კომედია "ურჩხული"
05.00 დოკ. ფილმი "გოძსის საიდუმლო"

VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მელოდია
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "ბედნიერი ერი"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.45 მოკლედ... სპორტი
10.50 "ავტოტრენინგი" - წლის საუკეთესო გადაცემა
11.35 სპორტული პროგრამა - ევროპული ფეხბურთი (ესპანეთი)-(გერმანია)
12.15 ანიმაცია
12.30 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
13.00 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
13.00 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
13.30 გიორითმი (განმეორებით)
14.05 დისნეი და მისი მეგობრები
14.25 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
15.05 სპორტი
15.10 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 სპორტული პროგრამა - ევროპული ფეხბურთი (ინგლისი)
21.10 "ღამის კაპარიზი"
22.05 მოკლედ...ასტროლოგიური პროგნოზი
22.10 მოკლედ... სპორტი
22.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.30 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
23.00 "კინოკლუბი "-მხ.ფ. "მე თქვენ მიყვარხართ".
00.40 პრესის მიმოხილვა
00.55 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
01.05 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
01.40 მუსიკალური გიორითმი
02.15 პრესის მიმოხილვა

ORT

07.00 Телеканал "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00 Новости
10.15 "Жди меня"
11.15 Многосерийный фильм "УБОЙНАЯ СИЛА: ПРАКТИЧЕСКАЯ МАГИЯ".
12.15 "Непутевые заметки"
12.35 Дисней-клуб: "Переменка"
13.15 "ДВЕНАДЦАТЬ СТУЛЬЕВ"
14.30 Формула власти. Президент Германии
15.00, 20.50 Многосерийный фильм "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ - 2".
16.15 "Дикие штучки"
16.40 Сериал "БЛЕСК И НИЩЕТА КУРТИЗАНОК".
17.50 Многосерийный фильм "САМОЗВАНЦЫ".
19.00 Вечерние новости.
19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ".
20.20 "Кумиры"
22.00, 01.00 Время.
22.35 Многосерийный фильм "УБОЙНАЯ СИЛА: ЗАКОН ПЕРСПЕКТИВЫ"
23.40 Большой хоккей. СССР - Канада
00.05 "Один день в сентябре"
01.15 Сериал "УБОЙНАЯ СЛУЖБА".
01.40 Триллер "ЧЕЛОВЕК НИОТКУДА".
02.30 Сериал "ПРИШЕЛЕЦ".

РТР

06.45 "Доброе утро, Россия".
09.45 "КАМЕНСКАЯ-2"
10.50 "Два рояля".
11.50 Вести. Дежурная часть.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ.
12.20 Сериал "ЗАКОН".
13.25 Ток-шоу "Цена успеха".
14.30 "Колоссальное хозяйство".
14.45 ВЕСТИ - МОСКВА.
15.20 ВЕСТИ - СПОРТ.
15.25 "Что хочет женщина". Ток-шоу
16.25 Телесериал "ДИКИЙ АНГЕЛ ВОЗВРАЩЕНИЕ".
17.20 Телесериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ".
18.20 "Дежурный по стране" М. Жванецкий
19.20 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА.
19.50 Сериал "ВОРОВКА".
20.50 Спокойной ночи, малыши.
21.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.- МОСКВА.
21.55 Детективный сериал "КАМЕНСКАЯ-2"
23.05 Сериал "ЗАКОН".
00.35 "ЖИВОЙ ТОВАР"

НТВ

07.00 "СЕГОДНЯ УТРОМ"
10.00 Приключенческий сериал "ШЕЙХ БАДИЯР: ИСТОРИЯ ЛЮБВИ И МЕСТИ". США
11.00, 13.00,15.00,17.00, 20.00, 23.00 СЕГОДНЯ
11.25 "ВНИМАННИЕ: РОЗЫСК!" "БАНДИТСКИЙ СИНДИКАТ"
12.15 "РАСТИТЕЛЬНАЯ ЖИЗНЬ" с Павлом Лобковым
12.50 "ВКУСНЫЕ ИСТОРИИ"
13.20 "КРИМИНАЛ"
13.35 "ЖЕНСКИЙ ВЗГЛЯД" Оксаны Пушкиной. Людмила Турищева
14.00 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" детектив. США
15.05 "ПРИНЦИП "ДОМИНО" ток-шоу. Сегодня: "МНЕ НЕ ХВАТАЕТ НА ЖИЗНЬ"
16.40 "КРИМИНАЛ"
17.30 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2" детективный сериал
18.30 "ГРАФ МОНТЕ-КРИСТО" приключенческий фильм. Франция
19.40 "КРИМИНАЛ"
20.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ОТПУСК ДЛЯ ГЕРОЕВ", часть 2-я
21.45 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2" детективный сериал
23.35 "ТРОЕ" детективный сериал. США
00.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "ОТПУСК ДЛЯ ГЕРОЕВ", часть 1-я
01.35 ГОРДОН

TV პროგრამები მოგვაწოდა საგანგებო "ინფორმაციამ"

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.